საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 20 დეკემბერი, 2012 წელი.

№244 (7120)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბეჭდვური სიტყვაა, ფუფლებით და ჭორებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.

ქუთაისელებსაც ყელში ამოუვიდათ სააკაშვილის ოინები

პრეზიდენტი საპირფარეშოში იმალებოდა

... და გაიპარა.

არა, კი არ გაიპარა, დიდი გაჭირვებით გააპარეს ჯერ ქუთაისის მერიიდან, სადაც, როგორც ბოროტი ენები ამბობენ, კარგა ხანს საპირფარეშოში იმალებოდა, შემდეგ კი წმიდა ნინოს ქუჩის იმ შენობიდან, სადაც ნაციონალური მოძრაობის ოფისი პროტესტის ნიშნად შეკრებილი ქუთაისელებით იყო გარშემორტყმული და დიდხანს გაისმოდა შეძახილები: „გადადექი, პრეზიდენტო, გადადექი!“

ხალხი მერიასთან და ნაციონალური მოძრაობის ოფისთან მას შემდეგ შეიკრიბა, რაც საქართველოს პარლამენტის შენობის წინ, იმ ადგილას, სადაც „დიდების მემორიალი“ იდგა, დაიშალა მიტინგი, სადაც გამოსვლის მსურველი ბევრი იყო, მაგრამ სიტყვები წარმოთქვეს მხოლოდ საზოგადოებისთვის კარგად ცნობილმა ადამიანებმა, ბატონებმა რეზო ჩხეიძემ, თემურ შაშიაშვილმა, რეზო ძოძუაშვილმა, მამა ტარიელმა, შრომის ვეტერანმა, დიდ სამამულო ომში დაღუპულის ვაჟმა გივი ბალავაძემ.

რამ გამოიწვია ქუთაისელთა რისხვის აზვირთება?

რამ და შემთხვევითი გამვლელის ინფორმაციამ: **პრეზიდენტი, რომელმაც „ძართულ ოცნებას“ დამანგრეველი უწოდა, ამჟამად მერიაშია.**

მიტინგი და საპროტესტო მსვლელობა პრეზიდენტის გაპარვის შემდეგაც დიდხანს გრძელდებოდა და ხალხი შინ იმ რწმენით დაბრუნდა, რომ ყველაფერს იზამენ, რათა მიხეილ სააკაშვილი 4 იანვარს – საპრეზიდენტო ვადის ამოწურვისთანავე გადადგეს.

ალექსანდრე შენგელია,
ქუთაისიდან

ბიძინა ივანიშვილი: სააკაშვილმა

პასუხი აგოს, რატომ აქვს 7 რეზიდენცია და აგარაკების მშენებლობით ვის მიბაძა

ქართველ ხალხს შერჩა უნარი, თეთრი და შავი გაარჩიოს, – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა გორში, თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში სტუმრობისას მიხეილ სააკაშვილის განცხადების კომენტირებისას განაცხადა.

ივანიშვილის თქმით, ყველამ იცის, როგორია რეალობა და სააკაშვილის საუბრით არაფერი შეიცვლება.

– ეს კაცი აგრძელებს საუბარს. ვის ესაუბრება, მაღლა მაინც იყუროს, იქნებ ვინმემ მოუსმინოს. სააკაშვილმა პასუხი აგოს, რატომ აქვს 7 რეზიდენცია, 80 მილიონი ვერტმფრენებში რატომ გადაიხადა, ჯარს რატომ „აჰკიდეს“ საპრეზიდენტო თვითმფრინავების შეძენა, აგარაკების მშენებლობა. ვის მიბაძა, ამაზე აგოს პასუხი. ჩვენზე მოიყვანოს მაგალითები და სიამოვნებით მივიღებთ კრიტიკას, თუკი რამე გვეშლება. შეუცდომელი არავინ არის, – აღნიშნა ივანიშვილმა.

მარინე მიზანდარი სვანეთის საგანძურზე და თურქეთ-საქართველოს მოლაპარაკებაზე

4

ჭანგიანი ავტომატები, გადაღებული ტექნიკა, გამქრალი 12 მილიონი ევრო და „ცოტნე დადიანის“ აღსარება

3

ნეტავ გალაკტიონი რას იტყოდა?

7

სარედაქციო ფოსტიდან

საშველი არ არის, აღარც ზამთარი გვწყალობს, აღარც მთავრობა, აღარც მერია, აღარც ბანკი და აღარც... მოლარე ყარასაშვილი

გვჯერა, როგორ არა გვჯერა, რომ ჩვენი ქართული დემოკრატია მალე მსოფლიოს თუ არა, ევროპას მაინც კარგა ხანს პირდაღებულს დატოვებს. ისიც გვჯერა, რომ 2012 წელს 2013 წელი მოჰყვება. ცამეტს – თოთხმეტი და ასე გაგრძელდება უსასრულოდ... მაგრამ რაღაც არა გვჯერა, რომ მცირედ გაქონიანება თუ არა, მდიდრების სამზარეულოებთან გავლა მაინც მოგვიწევს და თანაც იმ დროს, როცა რომელიმე სამზარეულოს სარკმელი ღია იქნება და მსუყე-მსუყე სუნით მაინც მოგვიწევს დანაყრება. დიდად აღარც ის გვჯერა, რომ ჩვენი მერია უბრალო ადამიანის ფასის ყოველდღიური გაიაფების შესაბამისად გააიაფებს ნაგავსაც, რასაც ესოდენ მაღალი ფასი საქართველოს ისტორიის მთელ მრავალათასწლოვან სიგრძეზე არასდროს არა ჰქონია.

რა ვქნათ, არც იმის გვჯერა, რომ ჩვენი პენსია ოდესმე გაუთანაბრდება კი არა, ოდნავ მაინც მიუახლოვდება ჩვენსავე საარსებო პირობებს. თუ, რასაკვირველია, თვითონ არ დაგვიწესებენ ამ პირობებს, ანუ ვინ რამდენი უნდა ვიკმაროთ ყველი და პური, კეთილი გული. რა თქმა უნდა, მარტო ცარიელ პურსა და ყველს არ დასჯერდება ბანკირი გილაური, რომლის დღიური შემოსავალი 6 ათასი ლარი ყოფილა. მაგრამ ჩვენ რა ვქნათ, პენსიონერებმა, რომელთა დღიური შემოსავალი 4 ლარს არ აღემატება? ყირამალაც რომ დავდგეთ, 4 ლარს ერთ თეთრსაც ვერ მოვუმატებთ. მაგრამ გილაურებს, გურგენიძეებსა და ხაზარაძეებს რომ თავი დავანებოთ, ზოგიერთ ყოჩაღ მოლარეს ნამდვილად შესძლებია საარსებო მინიმუმის გაზრდა...

ფილარმონიის შენობის ქვეშ რომ ლიბერთი ბანკია, გუშინ იქ ჩემი საცოდავი პენსიის ასაღებად მივედი. პენსია ავიღე და ახლა სალაროსთან აღმოვჩნდი დენის, გაზის, ტელეფონის, ტელევიზორის, წყლის საფასურის გადასახდელად. რამდენი უნდა მოგართვათ-მეთქი, ვეკითხები ახალგაზრდა მოლარეს მარინე ყარასაშვილს (გვარ-სახელი მენეჯერისგან შევიტყვე). ორასი ლარი... ჯიბეებს ვიჩხრეკ, ჩემს საცოდავ პენსიას ორას ლარს ვხდი და დარეტიანებული გამოვდივარ ბანკიდან. ჯანდაბას ჩემი თავი, იქნებ იანვარში მაინც გვეშველოს, ვფიქრობ, და გზა-გზა ვათვალიერებ გადახდილი თანხის ქვითარს, რომელზეც ამობეჭდილია 199 ლარი და 30 თეთრი...

არადა, თქვენზე ორასი ლარია. ყურში ჩამესმის მოლარის მკაცრი ხმა.

მეწყინა. მივბრუნდი. რატომ მითხარით ორასი ლარი-მეთქი, ვეკითხები მოლარე მარინე ყარასაშვილს. რატომ და, სალაროს ორმაგი შუშები აქვს, 199 იქნებ კარგად ვერ გაგეგონათო... ხომ ხედავთ, როგორ ვყვირიო...

ზოგს იქნებ ზედმეტად გაბუქებულიც ეჩვენოს ჩემი ეს ზედმეტად გადახდილი ერთი ლარის თავგადასავალი, მაგრამ ეს აზრი მხოლოდ იმას შეიძლება რომ გაუჩნდეს, ვისაც სულაც მეტისმეტი არ ეჩვენება ჩვენი ამჟამინდელი საარსებო მინიმუმის პირობებში ბანკირი გილაურის ყოველდღიური 6 ათასი შემოსავალი.

ლარა ლარიშვილი,
ცხოვრებისგან დარეგიანებული პენსიონერი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ალიან-ჩალიანი

ალეკო ხეთაგური, ნიკა გვარამია, კახა დამენია და დევი კანდელაკი დააკავეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, პროკურატურასთან ერთად, ნიკა გვარამია, ალეკო ხეთაგური, დევი კანდელაკი და კახა დამენია დააკავა, — ამის შესახებ საგამოძიებო სამსახურში გუშინ გამართულ ბრიფინგზე გახდა ცნობილი.

როგორც საგამოძიებო სამსახურმა განმარტა, ისინი, არასამეწარმეო მიზნით, 2012 წლის ივლისში შექმნილი ცრუ საწარმოსთვის ენერგოკომპანიების მიერ თითქოსდა საკონსულტაციო მომსახურებისათვის 1 000 000 აშშ დოლარის გადარიცხვის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში მოწმის სახით იკითხებოდნენ.

მათ გარდა დაკავებულები არიან, აგრეთვე, გიორგი ნემსიწვერიძე და იზაბელა გუტიძე.

ზაქარია ქუცნაშვილი პრეზიდენტს ურჩევს, „მნგრეველები თავისკენ მოიკითხოს“

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ზაქარია ქუცნაშვილი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ურჩევს, „მნგრეველები თავისკენ მოიკითხოს“.

როგორც პრეზიდენტის გუშინდელი განცხადების კომენტირებისას ქუცნაშვილმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, როცა მნგრეველობას აბრალებენ ქუთაისში „დიდების მემორიალის“ ამფეთქებლები, თბილისში თაბუკაშვილის ქუჩაზე სახლების დამანგრეველები და რიყის ტერიტორიაზე კერძო საკუთრების ხელმყოფელები, ცოტა უცნაურია.

ამასთან, ქუცნაშვილი აცხადებს, რომ „თალიბები“ მსოფლიოში ცნობილი არიან პოლიტიკური მიზნების მიღწევისათვის ძალადობრივი აქტების გამოყენებით. მისი თქმით, „ქართული ოცნება“ საკაშვილისგან განსხვავებით, არც პარლამენტში შევარდნილა და არც ადმინისტრაციული შენობები აუღია ძალის გამოყენებით.

— მახინჯი, ქალაქისთვის შეუფერებელი და საზოგადოებისთვის არასაჭირო ობიექტების ყველაზე კარგი მაგალითია ქუთაისში აშენებული პარლამენტის შენობა და რიყის ტერიტორიაზე წარმოებული მშენებლობები. ამ მიმართულებით მიმდინარეობს მოსაზრებების გამოთქმა, პოზიციების დაფიქსირება, რაც ნგრევასთან კავშირში არ არის, — აცხადებს ქუცნაშვილი.

— არჩევნების წინ ვიძახდი, რომ სამწუხაროდ, არსებობდა საფრთხე მნგრეველთა დიდი ბრიგადა მოსულიყო, — ამის შესახებ პრეზიდენტმა ჟურნალისტებს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის გუშინდელი განცხადების კომენტირებისას განუცხადა.

— გუშინ საქართველოს მთავრობამ, სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ გამოაცხადა ძალიან მასშტაბური ნგრევის პროგრამის შესახებ. თანამედროვე ეპოქაში პოლიტიკური ნიშნით ნგრევის ერთადერთი მაგალითი არსებობს ავღანეთში თალიბანების მიერ განხორციელებული. მე არა მგონია, რომ 21-ე საუკუნეში საქართველომ თავი უნდა მოიჭრას მთელი მსოფლიოს წინაშე თალიბანიზაციით და ახალი თანამედროვე შენობების ნგრევით, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

გიორგი ცაგარეიშვილი გოგა ხაჩიძის, აკაკი ბობოხიძისა და პავლე კუბლაშვილის პასუხისმგებლობის საკითხს სვამს

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელი გია ცაგარეიშვილი ტყიბულში ხე-ტყის უკანონო ჭრასთან დაკავშირებით წინა ხელისუფლების წარმომადგენელთა პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს.

კერძოდ, ცაგარეიშვილი გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრის გოგა ხაჩიძის კომიტეტის ხელმძღვანელის პოსტზე მისი წინამორბედის აკაკი ბობოხიძისა და ტყიბულის ყოფილი მაჟორიტარის პავლე კუბლაშვილის პასუხისმგებლობის საკითხს სვამს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გია ცაგარეიშვილმა და ტყიბულის მაჟორიტარმა დეპუტატმა ელისო ჩაფიძემ პარლამენტში ერთობლივი ბრიფინგი გამართეს. კერძოდ, 27 ნოემბერს ელისო ჩაფიძის თხოვნით, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების საპარლამენტო კომიტეტმა ტყიბულში გასვლითი სხდომა გამართა, რაც დაკავშირებული იყო წაბლის ხის უკანონო ჭრასთან.

როგორც პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებისთვის განმარტეს, ამ ჭრებს ახორციელებს შპს „ვუდიმპექსი“. ცაგარეიშვილისა და ჩაფიძის თქმით, თავდაპირველად აღნიშნულმა ფირმამ გარემოს დაცვის სამინისტროსთან გააფორმა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ჭრები უნდა ყოფილიყო სანიტარიული ხასიათის, თუმცა, რეალურად მიმდინარეობდა უნებართვო გაჩეხა და „ვუდინპექსმა“ ჯანმრთელი ხეები მოჭრა.

ცაგარეიშვილისა და ჩაფიძის ცნობით, შემოწმებით გამოვლინდა, რომ უნებართვოდ მოჭრილია 329 ძირი სხვადასხვა ტიპისა და დიამეტრის ხეები საერთო მოცულობით 237,5 კუბური მეტრი. ასევე, უკანონო ჭრებით გარემოსთვის მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 193 904 ლარი.

კომიტეტის ხელმძღვანელი გია ცაგარეიშვილი კი მიიჩნევს, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა უნდა აიღოს გარემოს დაცვის ყოფილმა მინისტრმა და ამჟამინდელმა დეპუტატმა გოგა ხაჩიძემ, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის ყოფილმა ხელმძღვანელმა აკაკი ბობოხიძემ და ტყიბულის ყოფილმა მაჟორიტარმა პავლე კუბლაშვილმა.

პარლამენტის სხდომა წუთიერი დუმილით დაიწყო

პარლამენტის პლენარული სხდომა ქუთაისში სამი წლის წინათ მომხდარი ტრაგედიის შედეგად დაღუპულთა გახსენებით დაიწყო.

პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის ინიციატივით, „დიდების მემორიალის“ დემონტაჟის დროს დაღუპული დედაშვილის ხსოვნას დეპუტატებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს.

ინტერპრესნიუსი

◎ თანაარსებობა

პოლიტიკური ჩიხიდან გამოსვლის გზა

18 დეკემბერს საერთაშორისო კრიზისების ჯგუფმა 21-გვერდიანი დოკუმენტი გამოაქვეყნა, რომელიც საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოში კოჰაბიტაციის (ანუ თანაარსებობის), პერიოდსა და მასთან დაკავშირებულ პროცესებს მოიცავს. დოკუმენტში ასახული არა ერთი რეკომენდაცია მიმართულია კოჰაბიტაციის პროცესში ჩართული მხარეებისადმი. რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ საქართველო პოლიტიკურ ჩიხში არ მოექცეს?

21-გვერდიანი დოკუმენტი, სახელწოდებით „საქართველო: როგორ იმუშაოს კოჰაბიტაციამ“, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ნოემბერში, მომზადდა და, მისი ავტორების თქმით, წერის პროცესი სწორედ იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც საქართველოში მაღალჩინოსანთა დაკავების ტალღა დაიწყო, რასაც მოჰყვა უცხოელი მაღალჩინოსებისა და, ზოგადად, საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან მოწოდებები შერჩევითი სამართლის გამორიცხვისა და გამოძიების გამჭვირვალედ წარმართვის თაობაზე. სწორედ ამიტომ, მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ამ მოვლენების ფონზე საერთაშორისო კრიზისების ჯგუფის მიერ გამოქვეყნებულმა ანგარიშმა კიდევ უფრო მეტი აქტუალობა შეიძინა როგორც საქართველოს ხელისუფლების, ასევე პარტნიორი ქვეყნებისთვის.

„კოჰაბიტაცია საქართველოსთვის უცხო ხილია“, — ამბობს რადიო „თავისუფლებასთან“ საუბარში მედეა ტურაშვილი, საერთაშორისო კრიზისების ჯგუფის ერთ-ერთი მკვლევარი, და იმ რეკომენდაციებზე მიუთითებს, რომლებიც დოკუმენტში დეტალურად გაიწერა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მთელი რიგი, კოჰაბიტაციის პროცესის თანმდევი, პრობლემები.

ახალმა ხელისუფლებამ უნდა გამოიყენოს ის ათთვიანი პერიოდი, რომელიც მას 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე დარჩა და დასახოს პრიორიტეტული რეფორმები, რათა გააძლიეროს სახელმწიფო ინსტიტუტების დამოუკიდებლობა და ანგარიშვალდებულება ...

ანგარიშის ავტორები საჯარო სექტორის დეპოლიტიზაციაზე ამახვილებენ ყურადღებას. მათ შორის მოიაზრება შინაგან საქმეთა სამინისტრო და პენიტენციარული სისტემა. კიდევ ერთი საკითხი, რაზეც ანგარიშის ავტორები ახალ ხელისუფლებასა და პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს მიუთითებენ, ეს არის ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა. ანგარიშის ავტორების რეკომენდაციით, ქსენოფობიური ქმედებები გამოძიებული უნდა იყოს, როგორც სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულებები.

განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ანგარიშში პუნქტს საქართველო-რუსეთის ურთიერთობების შესახებ. როგორც ანგარიშში ვკითხულობთ, საარჩევნო კამპანიის პერიოდში „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების პირობას დებდნენ, თუმცა ახალმა ხელისუფლებამ ისიც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს პროცესი ხელს არ შეუშლის მათ საგარეო პოლიტიკის კურსს, რომელიც ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრებისკენ არის მიმართული. ანგარიშის ავტორები პოზიტიურად აფასებენ ახალი ხელისუფლების ღიად გამოხატულ სურვილს მოაწესრიგოს რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობები, ისინი მიესალმებიან რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნას და მიიჩნევენ, რომ ვაჭრობისა და ჰუმანიტარულ-კულტურული ურთიერთობების აღდგენა კარგი დასაწყისია სხვა, გაცილებით რთული პრობლემების შესახებ საუბარზე გადასასვლელად.

საერთაშორისო კრიზისების ჯგუფის სამხრეთ კავკასიის პროექტის დირექტორი ლორენს შითსი რადიო „თავისუფლებასთან“ საუბარში იმედს გამოთქვამს, რომ კოჰაბიტაციის პროცესი უახლოესი თვეების განმავლობაში პოზიტიურად წარიმართება და გამორიცხავს ამ ეტაპზე სცენარის სხვა მიმართულებით განვითარებას, თუმცა, იმაზეც მიუთითებს, რომ ამ მხრივ აუცილებელია გახმაურებული საქმეების სამართლიანად და გამჭვირვალედ გამოძიება, რათა თავიდან იქნეს აცილებული კითხვის ნიშნები და არ შეფერხდეს მშვიდობიანი თანაარსებობა, რაც ქვეყანას პოლიტიკურ ჩიხში შეიყვანს.

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელი გოგი ხუციშვილი საერთაშორისო კრიზისების ჯგუფის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში განსაკუთრებით გამოყოფს რეკომენდაციას, რომელიც საქართველოს პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის შეხვედრების გააქტიურებასა და მათ გაშუქებას გულისხმობს, თუმცა, მას აეჭვებს, რომ მსგავსი ტიპის შეხვედრები მომავალი 10 თვის განმავლობაში ინტენსიურად გაიმართოს.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ საერთაშორისო კრიზისების ჯგუფის ანგარიში და რეკომენდაციები მიმართულია კოჰაბიტაციის პროცესში ჩართული მხარეებისა და, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პარტნიორი სახელმწიფოების მთავრობებისადმი.

ნინო თარხნიშვილი
რადიო „თავისუფლება“

◎ მოულოდნელი რაკურსი

საქართველოს „პალესტინური“ სახელმწიფოს მხარდაჭერა ამერიკის ელჩმა უარჩია

ძოფილ საბჭოთა რესპუბლიკა საქართველოში ობამას ადმინისტრაციის განსაკუთრებულ ღალატზე ინფორმაცია გავრცელდა. ობამა, რომელიც თითქოს მხარს არ უჭერს მუსლიმ ძმებს, შარიათის რევოლუციებს, ეგვიპტის რეჟიმებს, კულისებში ნაბიჯებს დგამს ისრაელის შემდგომი საერთაშორისო იზოლაციისთვის, ისრაელისა, რომელიც ახლო აღმოსავლეთის ერთადერთი დემოკრატიაა.

29 ნოემბრამდე, მანამდე, ვიდრე გაერთიანებული ერების ორგანიზაცია კენჭს უყრიდა არაწევრი სახელმწიფოს დამკვირვებლის სტატუსს, ობამას მიერ დანიშნული შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს შეხვდა. საუბრის დროს ნორლანდმა რეკომენდაციის სახით პრემიერ-მინისტრს უთხრა, რომ საქართველომ ხმა უნდა მისცეს პალესტინის სახელმწიფოს.

ეს შეერთებული შტატების ოფიციალური პოზიციის მიუხედავად მოხდა, რადგან სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა ამ კენჭისყრას უწოდა „სამწუხარო და კონტრპროდუქტიული“, რაც მშვიდობის გზაზე დამატებით სირთულეებს შექმნის“. კენჭისყრის დღეს ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბინიამინ ნეთანიაჰუმ განაცხადა: „მშვიდობისთვის არცერთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესი არ არის ასახული რეზოლუციაში, რომელსაც დღეს განსახილველად გენერალურ ასამბლეას წარუდგენენ, ამიტომ ისრაელისთვის ის მიუღებელია“. ის მართალი გახლდათ. მაგრამ საქართველოში, შეერთებული შტატები ღალატობს მტკიცე და ჭეშმარიტ მოკავშირეს.

ეს ინფორმაცია გაბრიელ მირილაშვილისგან გავრცელდა. მირილაშვილი ცნობილი ბიზნესმენი და კორპორაციის მფლობელი საქართველოში, ევრო-აზიის ებრაელთა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი და ქართველი ებრაელების მსოფლიო კონგრესის ხელმძღვანელია. მირილაშვილი ამბობს, რომ ეს მან თავად ივანიშვილისგან მოისმინა, და რომ არსებობს

ოფიციალური დოკუმენტი, სადაც ნორლანდის და ივანიშვილის საუბრის ჩანაწერია ასახული. როდესაც მირილაშვილი ივანიშვილს არწმუნებდა, მხარი არ დაეჭირა პალესტინის სახელმწიფოებრიობის დოკუმენტისთვის, ივანიშვილმა უპასუხა, რომ მას ეს ამერიკის ელჩმა სთხოვა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ შეხვედრამდე რამდენიმე დღით ადრე, საქართველოში ჩავიდა ჯორჯ სოროსი, რომელიც, ასევე, შეხვდა პრემიერ-მინისტრ ივანიშვილს და ისინი სხვადასხვა ინიციატივების ირგვლივ თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ. პრეზიდენტ ობამას და სოროსის ახლო კავშირები სათავეს იღებს ჯერ კიდევ 2007 წლიდან და 2008 წლის საპრეზიდენტო კამპანიამდე მიდის.

იმავდროულად, კიდევ ერთმა წყარომ განაცხადა, რომ საქართველო იფარებს ჩეჩენ ჯიჰადისტებს — მკვლელებს, რომლებსაც ქართული პასპორტები აქვთ. როდესაც ზოგიერთი ამ ჯიჰადისტთაგან თურქეთში დააკავეს, თურქულმა პრესამ გამოაქვეყნდა ინფორმაცია, რომ ისინი ქართული პასპორტებით მოგზაურობდნენ. მეტიც, მათი ლიდერი უმარ სუგაიპოვი, რომელიც ახლა საქართველოში არ არის, ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩკერიის აწგარდაცვლილი პრეზიდენტის ასლან მასხადოვის უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი მოადგილეა.

იხ. 4 გვ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ აფუთფუთებული ეჭვი

ამთავითვე უკანონო ბრძანებულება,

ARAAERTI ეჭვი და კითხვის ნიშანი გააჩინა პრეზიდენტის ბრძანებულებამ მედიისა და არასამთავრობო სამოქალაქო სექტორისთვის მილიონი ლარის გამოყოფის თაობაზე. მაგალითად, გაჩნდა ინტერესი, თუ რა უდევს საფუძვლად პრეზიდენტის მიერ ამ უპრეცედენტო გადაწყვეტილების სწორედ ახლა მიღებას, რამდენად სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს პროცესი, როცა მილიონი ლარის გამანაწილებელი ორგანიზაციის შერჩევა პრეზიდენტმა თავის გარემოცვას დაავალა და, საერთოდ, რამდენად კანონიერია ეს ყოველივე?

ანუ რატომ აძლევს პრეზიდენტი მილიონს მედიასა და სამოქალაქო სექტორს?

ნინო კალანდაძე, ვან ბაიბურთი, მუბარის კარაევი, ვერა ქობალია, ნატალია ყანჩელი — ისინი ამჟამად პრეზიდენტის მრჩევლები არიან და სწორედ მათ დაავალა სააკაშვილმა კონკურსის წესით იმ არაკომერციული იურიდიული პირის შერჩევა, რომელსაც ის თავად დაამტკიცებს და შემდეგ საკუთარი ფონდიდან მილიონი ლარის განაწილების პროცესსაც მიანდობს. თანხა გამიზნულია მედიასაშუალებებისა და სამოქალაქო სექტორისთვის და ეს თანხა კონკურსის წესით უნდა განაწილდეს.

პრეზიდენტის 1112-ე ბრძანებულებაში, რომელიც „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ 17 დეკემბერს გამოქვეყნდა და გამოქვეყნებისთანავე ამოქმედდა, ნათქვამია, რომ ინიციატივა მიზნად ისახავს სამოქალაქო სექტორისა და დამოუკიდებელი მედიის შემდგომ ხელშეწყობას, რადგანაც სამოქალაქო სექტორსა და თავისუფალ მედიას დიდი როლი ეკისრება „საქართველოში დემოკრატიის განვითარებისა და დემოკრატიული პროცესების განმტკიცების საქმეში“.

სამოქალაქო სექტორსა და მედიას განვითარებისთვის ფული რომ ესაჭიროება, ამაში ეჭვი არავის ეპარება და, მათ შორის, არც „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ აღმასრულებელ დირექტორს ეკა ფოფხაძეს, თუმცა, პრეზიდენტის ბრძანებულების შინაარსმა მას არაერთი შეკითხვა გაუჩინა და, ძირითადად, პროცესის გამჭვირვალობის ჭრილში.

„წლების განმავლობაში რა პრაქტიკაც იყო და რაც ჩვენ გვინახავს, იყო ის, რომ ამ თანხების ხარჯვა არ იყო გამჭვირვალე, იყო ყოველთვის პრობლემური და თუნდაც როცა არასამეწარმეო იურიდიული პირები ხარჯავდნენ სახელმწიფოსგან მიღებულ თანხებს, არც ეს იყო გამჭვირვალე. ჩნდება კითხვის ნიშნები: რა ნიშნით შეირჩევა იურიდიული პირი? როგორ დაიხარჯება თანხა? რა პროცესით შეირჩევა ის სამოქალაქო სექტორი თუ მედიაორგანიზაციები, რომლებსაც გადაეცემა ეს თანხა? და რაც მთავარია — რატომ დადგა ეს საკითხი დღის წესრიგში დღეს? რამ განაპირობა ამის აუცილებლობა?“ — უთხრა რადიო თავისუფლებას ეკა ფოფხაძემ, რომლის ორგანიზაციასაც მუდმივად ექმნებოდა პრობლემები პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან თანხის ხარჯვის მონიტორინგის პროცესში.

შეკითხვებზე ჯერჯერობით პასუხს არ იძლევიან საკონკურსო კომისიის წარმომადგენლები. როგორც პრეზიდენტის მრჩეველმა ვან ბაიბურთმა უთხრა რადიო თავისუფლებას 18 დეკემბერს, კონკრეტული დეტალები უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი: **„ჩვენ შევთანხმდით, რომ დღეს არც ერთ კომენტარს ამ საკითხთან დაკავშირებით არ ვაკეთებთ. და უკვე ხვალ, ზეგ შეგვიძლია გავაკეთოთ კომენტარები“.**

სხვა შეკითხვების მსგავსად, ჯერჯერობით პასუხგაუცემელია კითხვა, თუ რატომ მიიღო პრეზიდენტმა მედიისა და სამოქალაქო სექტორის დაფინანსების უპრეცედენტო გადაწყვეტილება სწორედ ახლა და, ამ შეკითხვის საფუძველზე, საიას აღმასრულებელი დირექტორი ეკა ფოფხაძე აბსოლუტურად ლეგიტიმურად მიიჩნევს ეჭვებს, რომლებიც საზოგადოების ერთ ნაწილს მილიონი ლარის სავარაუდო მიმღებთა მისამართით გაუჩნდა.

„ბევრი ადამიანი, ვინც იყო წინა ხელისუფლებაში, დღეს გადავიდა სამოქალაქო სექტორში, ანუ მათ დააფუძნეს არასამთავრობო ორგანიზაციები და დღეს საზოგადოებაში აზრს გამოხატავენ როგორც სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, რომლებიც არიან ყოფილი ხელისუფლების დროს მაღალჩინოსნები. ეს ეჭვები გაჩნდა, ამ სამოქალაქო სექტორის თუ ძველი ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილი მედიასაშუალებების დასაფინანსებლად ხომ არ მოხდება ამ თანხების გამოყენებაო. მგონია, რომ ამ კითხვებს და ეჭვებს აქვს ლეგიტიმური საფუძველი“, — აცხადებს ეკა ფოფხაძე.

ეჭვების შესახებ არაფერს ამბობს, მაგრამ „ჟურნალისტთა ეთიკის ქარტიის“ აღმასრულებელი დირექტორის თამარ კორძაიას შეფასებით, პრეზიდენტის ახალი ბრძანებულება პირდაპირ არღვევს კანონს და, კერძოდ, კანონს „გრანტების შესახებ“, რადგანაც, ამ კანონის მიხედვით, გრანტის გაცემა საბიუჯეტო თანხებით მხოლოდ ორ შემთხვევაშია დასაშვები: **„ეს არის, როდესაც თვითონ სამინისტრო გასცემს გრანტს და მეორე შემთხვევაა, როდესაც საქართველოს მთავრობის მიერ უფლებამოსილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი გასცემს გრანტებს. არც ერთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე და არც მეორესთან, ამიტომ იმთავითვე ეს ბრძანებულება არის კანონის დარღვევა“.**

ამასთან, თამარ კორძაიას შეფასებით, გაუმართლებელია მედიის დაფინანსება საბიუჯეტო სახსრებით, რადგანაც ეს მედიის თავისუფლების ხარისხს კი არ გაზრდის, არამედ შეამცირებს. ეკა ფოფხაძე კი მიიჩნევს, რომ, საბიუჯეტო ფინანსების მიღების შედეგად არაჯანსაღი ანგარიშვალდებულება, მედიის მსგავსად, არასამთავრობო სექტორსაც გაუჩნდება.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ბრძანებულებაში არ არის ნათქვამი, თუ როდის აპირებს პრეზიდენტი მილიონი ლარის გამოყოფას. გავიხსენოთ, რომ, სახელმწიფო ბიუჯეტის 2013 წლის პროექტის თანახმად, წინასწარი გათვლით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მოცულობა 5-ჯერ, ანუ 10 მილიონ ლარამდე, შემცირდა.

ლელა კუნჭულია,
რადიო „თავისუფლება“

◎ თავსატეხი

ქანგიანი ავტომატები, გადაღებილი ტექნიკა, გამქრალი 12 მილიონი ევრო და „ცოტნე დადიანის“ აღსარება

ნაციონალების მხრიდან ტაბუდადებულ თავდაცვის სამინისტროს საქმიანობას განსაკუთრებით მის ხარჯვით ნაწილს, გრიფი „საიდუმლო“ ახალმა ხელისუფლებამ რამდენიმე დღის წინათ მოუხსნა: შეიარაღებული ძალების გენინსპექციამ ჩატარებული შემოწმების შედეგად დაადგინა, რომ ბაჩო ახალაიას მინისტრობის პერიოდში უწყებამ გასული საუკუნის შუა პერიოდში წარმოებული მეორადი, გადაღებილი და ზოგიერთ შემთხვევაში კუსტარულად შეკეთებული AK-47 და AK-S-74 ტიპის ცეცხლსასროლი იარღები შეიძინა. იარაღს ექსპერტიზა ჩაუტარდა და დადგინდა, რომ სამინისტრომ 12 მლნ ევროს უხარისხო იარაღი შეიძინა.

თავდაცვის მინისტრის მრჩეველი ვაკო ავალიანი ამბობს, რომ ოფიციალურად **ამ ავტომატებში, ცალში 290 ევროა გადახდილი, მაშინ, როდესაც საბაზრო ღირებულებით თითოეულის ფასი 50 ევროს არ აღემატება. არამიზნობრივი ხარჯვის შედეგად მიღებული თანხა პანამაში, ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული კომპანიის ანგარიშზე ირიცხებოდა (ახლა გასაგები ხდება, თუ რატომ გაუსკდა სიყვარულის ბუშტი სააკაშვილს, როდესაც სრულიად მოულოდნელად დაიწყო ვიზიტები პანამასა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში — რედ). ამის მეტ ინფორმაციას ავალიანი გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე აღარ იძლევა. იმას კი ამბობს, რომ იარაღის უმეტესობა გასული საუკუნის შუა პერიოდშია დამზადებული და რამდენჯერმეა შეკეთებული. მჭიდები პლასტმასისაა, უკანა მხარე ხეა, წინა — პლასტმასი. ამ ტიპის იარაღებს მის სამშობლოში, რუსეთში აღარ იყენებენ. იარაღის შეძენა კი საბაზრო ღირებულებაზე 4-ჯერ ძვირად მოხდა. რაში სჭირდებოდა ჩვენს შეიარაღებულ ძალებს ამორტიზებული, შეკეთებული ავტომატები, როცა გვქონდა ამერიკულები? — კითხვას სვამენ ექსპერტები. მათ სავარაუდო პასუხიც აქვთ — ხდებოდა საბიუჯეტო, ზოგჯერ აშშ-დან შეიარაღების შესაძენად შემოსული თანხების დატაცება.**

როგორც ირკვევა გრიფი „საიდუმლო“ ცოტა ხანში ცეცხლსასროლი ავტომატური იარაღის გარდა სხვა სახის იარაღისა და ტექნიკის შესყიდვაზეც მოიხსნება, წარმოჩინდება მასალები რა და როგორ იქნა შეძენილი.

სამხედრო ექსპერტი მაიზერ გელოვანი აცხადებს, რომ **ქართული არმია ახალი ხელისუფლების მოსვლამდე ძირითადად რუსული ტექნიკითა და იარაღით იყო დაკომპლექტებული. ნაციონალების ქვეყნის სათავეში მოქცევის შემდეგ დაიწყო უხარისხო იარაღისა და ჯავშანტექნიკის შეძენა. შესყიდულს დასავლურად, უახლესად ასაღებდნენ. თავიდანვე ჩანდა, რაც იდგა ყოველივეს უკან — დიდი ფულის კეთების სურვილი. ეს იარაღები და ტექნიკა გასული საუკუნის 50-იანი წლებისაა. იმ დროინდელი იარაღებიდან ჩვენთან ძირითადად ტყვიამფრქვევები შემოდიოდა. ისინი თავის დროზე მართლაც ძლიერ იარაღს წარმოადგენდნენ, მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი ვადა — ასკვნის რუსეთის აგრესიის დროს სენაკის ბატალიონის მეთაური მაიზერ გელოვანი და იქვე დასძენს, რომ საომარი მოქმედებების დროს იარაღი არ გამოიყენებოდა. უმაღლესმა ხელმძღვანელობამ იარაღი დაყარა და გაიქცა.** ყველაფერი რუსებმა წაიღეს.

„ცოტნე დადიანის“ განმარტება. თავდაცვის სამინისტროს მხრიდან გავრცელებულ ინფორმაციას უმცირესობის მხრიდან „ცოტნე დადიანად“ მონათლული, წინასწარ პატიმრობაში მყოფი ბაჩო ახალაია ფეისბუქით გამოეპასუხა. მისი განმარტებით მეორე „ცოტნეს“ მინისტრობის დროს სამინისტრო გამჭვირვალობისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრინციპით ხელმძღვანელობდა. „გმირად“ შერაცხილი არ გაურბის პასუხისმგებლობას არც ერთ საკუთარ ქმედებაზე და იქვე აცხადებს, რომ თავდაცვის სფეროში არსებობს საკითხები, რომელთა საჯაროდ გაცხადება დაუშვებელია. მით უმეტეს მაშინ, როდესაც ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტი ანექსირებულია.

როგორც „ჭეშმარიტი სამხედრო“ წინასწარი დაკავების იზოლატორიდან გვმოძღვრავს, საქართველოში გრიფ „საიდუმლოს“ მიკუთვნებული საკითხების გასაჯაროება ყოველდღიურ მოვლენად იქცა. მაშინ, როდესაც ნებისმიერ სხვა სახელმწიფოში მსგავსი ქმედება სამშობლოს ღალატად აღიქმება. ახალაია იქვე განმარტავს, რომ ჩვენთან არსებობენ ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე შესაბამისი დაშვების პირები და სწორედ მათთვის აპირებს, მისი მინისტრობის დროს განხორციელებულ შესყიდვათა და ქმედებათა განმარტებების მიცემას.

საპარლამენტო უმცირესობის მხრიდან „ცოტნე-II“-დ შერაცხილი თავის წერილს ნამდვილი გმირის პათოსით ამთავრებს — მიუხედავად ჩემს წინააღმდეგ მოქმედი შავი პიარისა, სახელმწიფო საიდუმლოებას ვერ გავცვლი პირად ინტერესებზეო.

ცოტა ხანში თავდაცვის სამინისტრო მოკვლეულ მასალებს პროკურატურას გადაუგზავნის, ბაჩანა ახალაიას კი ვერდიქტს სასამართლო გამოუტანს.

ზაზა ბილიხოძე

◎ ინფორმაცია

„ევროკავშირი საქართველოსთვის დამატებით 22 მილიონ ევროს გამოყოფს“

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობა ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია, — ამის შესახებ ევროკომისარმა შტეფან ფულემ საქართველოსთან თანამშრომლობის საბჭოს შეხვედრის შემდეგ განაცხადა. მისივე თქმით, ეს შეხვედრა უნდა განიხილებოდეს, როგორც საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობის ინტენსიფიკაცია.

— უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველომ და ევროკავშირმა მიაღწიეს მნიშვნელოვან პროგრესს პოლიტიკური თანამშრომლობისა და ეკონომიკური ინტეგრაციის კუთხით. ჩვენ უკვე გავიარეთ ასოცირებული შეთანხმების მოლაპარაკებების რამდენიმე რაუნდი, გვაქვს აშკარა პროგრესი ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ ვაჭრობასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში და სავიზო რეჟიმის მოხსნის დიალოგში. გვსურს, კიდევ უფრო განვავითაროთ ეს ინტეგრაციის პროცესი, იმის გარანტიებით, რომ საქართველო იქნება მონდომებული, პარტნიორი და იგი დაიცავს ევროკავშირის ღირებულებებსა და სტანდარტებს. ჩვენ ვაფასებთ ახალი მთავრობის მზაობას განაგრძონ ასეთი კურსი, — განაცხადა ფულემ.

მისივე თქმით, შეხვედრაზე ასევე იმსჯელეს „აღმოსავლეთის პარტნიორობის სამიტზე“, რომელიც გაისად ვილნიუსში გაიმართება. ევროკომისრის განცხადებით, შეხვედრაზე საუბარი ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის გაწეულ ფინანსურ დახმარებასაც შეეხო, რომელიც 181 მილიონ ევროს შეადგენდა. — გარდა ამისა, ვრჩებით რა ერთგული საკუთარი პოლიტიკისა, „მეტი მეტისთვის“, ევროკავშირი საქართველოსთვის დამატებით 22 მილიონ ევროს გამოყოფს — იმის ნიშნად, რომ ვაცნობიერებთ მათ მიერ რეფორმების გატარების მცდელობას. კარგი იქნება, თუ შევძლებ, იგივე მომავალ წელსაც გავიმეორო, — აღნიშნა შტეფან ფულემ.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ განსჯა

გაუგებრობების კორიანტელი

თურქეთ-საქართველოს შორის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ მოლაპარაკებისა და სვანეთის საგანძურის ირგვლივ for.ge-ს კითხვებს კულტურის მინისტრის მოადგილემ მარინე მიზანდარმა უპასუხა.

— რა ინფორმაცია გაქვთ მოპოვებული თურქეთ-საქართველოს შორის აქამდე მიმდინარე მოლაპარაკებებზე?

მარინე მიზანდარი: ხელშეკრულებების პროექტები გვაქვს, რომელზეც ხელი არ მოუწერიათ. ბოლო ვარიანტის მიხედვით, ძეგლების აღდგენა ნაცვალგების პრინციპით უნდა მომხდარიყო. ერთი მხრივ, ოშკისა და იშხნის რესტავრაციის პროცესში ქართველი რესტავრატორები ჩაერთვებოდნენ, ხოლო მეორე მხრივ, ბათუმში აზიზიეს მეჩეთი უნდა აშენებულიყო და რაბათის რესტავრაციაში თურქი სპეციალისტები უნდა ჩართულიყვნენ.

— კონკრეტულად სად იყო მეჩეთის აშენება გათვალისწინებული?

— ადგილი მითითებული არ გახლდათ — მინიშნებული იყო, რომ ბათუმში საამისოდ რაღაც ადგილი უნდა შერჩეულიყო.

— რამდენად მისაღებია თქვენთვის ის პოლიტიკა, რასაც კულტურის სამინისტრო, ზოგადად ყოფილი ხელისუფლება ახორციელებდა თურქეთის ტერიტორიაზე არსებულ ქართულ კულტურულ მემკვიდრეობასთან მიმართებაში?

— სიმართლე გითხრათ, ამ პოლიტიკაში ღრმად ჩახედული არ ვარ, რადგან ყველა ასპექტის შესასწავლად ჯერ დრო არ მქონია, მაგრამ ვფიქრობ, რომ კულტურის სამინისტროს თურქეთთან რაიმე საგანგებო პოლიტიკა არ ჰქონია —მოლაპარაკება ბოლომდე არ მისულა, ხელი არაფერზე მოუწერიათ.

— ხელისუფლების წევრები ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებდნენ, საზოგადოება სათანადოდ ინფორმირებული არ იყო, რაც მითქმა-მოთქმის საფუძველი ხდებოდა.

— გეთანხმებით იმაში, რომ ხელისუფლების წინა წლების ქმედებებს საჯაროობა ძალიან აკლდა, გადაწყვეტილებებს ხშირად ცალმხრივად, ერთპიროვნულად იღებდნენ და ხელისუფლების წევრებს შორის ხანდახან კონსენსუსი არ იყო.

— ბათუმში მეჩეთის აშენებას თურქული მხარე მოითხოვდა, თუ ეს საქართველოს ყოფილმა ხელისუფლებამ შესთავაზა?

— მეჩეთის აშენების თემა ვინმეს საგანგებოდ არ წამოუწევია, ეს თურქეთის მხრიდან მნიშვნელოვანი მოთხოვნა იყო. ყოველ შემთხვევაში, იმ საბუთების საფუძველზე, რაც ხელთ გვაქვს, მე ასე მეჩვენება.

— შეხვდით თურქეთის ელჩს 12 დეკემბერს?

— დიახ, შევხვდი.

— მოლაპარაკება ამ ფორმატით გაგრძელდება — თქვენ და ელჩი გადაწყვეტთ თურქეთის ტერიტორიაზე ქართული ტაძრების ბედს?

— საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით და მათი ჩართვით, რა თქმა უნდა.

— ესე იგი პირადად თქვენ იქნებით ამ პროცესში ჩართული.

—პირადად მე, ალბათ, იმიტომ, რომ ჩემი თემაა.

— ამ ეტაპზე როგორია ხელისუფლების პოზიცია — რას სთავაზობთ თურქულ მხარეს?

— ჩემი პოზიცია ასეთია, რომ დავიწყოთ, შევთანხმდეთ თანამშრომლობის სამომავლო გეგმებზე. ამჯერად იცით, რომ იშხნის სარესტავრაციო პროექტი დასრულებულია.

— ვის მიერ?

— თურქი სპეციალისტების მიერ, მაგრამ ეს თავისთავად ძალიან უარყოფითი საკითხიც არ არის. იქაც არიან კარგი სპეციალისტები და ექსპერტები, მაგრამ რამდენადაც ჩვენი სამეცნიერო წრიდან ვიცი, ხარვეზები მაინც არსებობს — კარგად არ გაკეთებულა კვლევითი ნაწილი, გეოლოგია, მასალის შესწავლა, კონსტრუქციები. ანუ, პროექტი ცოტა გასამართია და ამ პროცესში ქართველი სპეციალისტების ჩართვა თითქმის აუცილებელია, რადგან ძეგლებს მაინც თავისი სპეციფიკა აქვს. დავუბრუნდეთ მოლაპარაკებას — დიალოგი დავიწყეთ და როგორც გითხარით, სამომავლო გეგმებზე შევთანხმდებით. ამიტომ, სამწუხაროდ, ბევრს ვერაფერს გეტყვით.

— თურქულ მხარესთან დიალოგი სუფთა ფურცლიდან დაიწყეთ?

— ვცდილობთ, დიალოგი სუფთა ფურცლიდან დავიწყოთ. თუმცა, ვნახოთ — თურქეთის კეთილ ნებაზე ბევრი იქნება დამოკიდებული. საქართველოს კულტურის ძეგლები დღეს მათ ტერიტორიაზეა და ჩვენთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს ხარისხიანი შედეგის მიღება. ამ საკითხს ძალიან პრაგმატულად თუ შევხედავთ, სამუშაო პროცესში ქართველი სპეციალისტების ჩართვა გარკვეულწილად მათ ინტერესებშიც უნდა იყოს. ასეთ შემთხვევაში სრულფასოვნად რესტავრირებულ ძეგლს მიიღებენ, რომელიც საინტერესო იქნება ვთქვათ, მათთვის, ტურისტებად ჩასულებისთვის.

— რას მოითხოვს თურქული მხარე?

— პროცესს ნულიდან ვიწყებთ, თუმცა, თურქული მხარისთვის წინა ხელშეკრულებების პროექტებში არსებული პირობების გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია. თურქებს კონკრეტული პრეტენზიები აქვთ რაბათის კომპლექსის რეაბილიტაციასთან მიმართებაში. თურქი სპეციალისტები რაბათის კომპლექსის რესტავრაციაში ჩართვას ითხოვდნენ, მაგრამ ეს ყველაფერი იმდენად ნაჩქარევად გაკეთდა, რომ ეტყობა თურქული მხარე თამაშიდან საერთოდ გამოთიშული იყო. ანუ, სამუშაოები თურქების ჩართვით არ განხორციელებულა.

— ხელშეკრულება გაფორმებული არ იყო და ამის გარეშე სამუშაოებში როგორ ჩაერთვებოდნენ?

— ჰო, მაგრამ შეიძლებოდა — როცა მუსულმანური არქიტექტურის ძეგლს აკეთებ, მათი ჩართვა კარგი ნების და პროფესიონალიზმის გამოვლინება იქნებოდა. როგორც ჩანს, პროცესი ხარვეზებით წავიდა — რეაბილიტაციისას ცხაურები მოხსნეს, შეინახეს და აღარ გამოიყენეს. ეს იყო ამ არქიტექტურის ხიბლი, მართლა ნაღდი, ძველი და წარმოსაჩენი.

— ჯაყელების დროინდელი?

— ვერ გეტყვით, რადგან სამწუხაროდ, ჯერ არ ვიცი, დეტალებს ახალციხეში ჩასვლის შემდეგ დავაზუსტებ, მაგრამ თურქი ექსპერტები ჩამოსულები იყვნენ და რაბათზე არსებული მეჩეთის დათვალიერებისას ნახეს, რომ მეჩეთის არქიტექტურის განუყოფელი ნაწილი რეაბილიტაციის დროს მოუხსნიათ და შეუნახიათ.

— გიფიქრიათ თუ არა თურქეთის ტერიტორიაზე ქართული ტაძრების იუნესკოს ზედამხედველობის ქვეშ აღდგენაზე?

— რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, ამგვარი ფორმით ძეგლების აღდგენა უტოპიური იდეაა, მაგრამ ამ საკითხს მაინც დავაზუსტებ.

— სად გაატარებს ამ ზამთარს სვანეთის საგანძური?

— ეს ჯერ კიდევ დასაზუსტებელი საკითხია. მოგეხსენებათ, რომ ამჟამად მუსიკალური სკოლის შენობაში დროებით ინახება. მუზეუმს ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან დასკვნა მისაღები აქვს. როგორც ახლა განმიმარტეს, თვითონ მუზეუმმა შეუკვეთა მხოლოდ შიგთავსის — ვიტრინების, თაროების და აღჭურვილობის ექსპერტიზა. რაც შეეხება შენობას — მშენებელსა და მესტიის გამგეობას შორის მიღება-ჩაბარების აქტი რომ გაფორმდეს, ამისთვის აუცილებელია, მშენებელმა გამგეობას დასკვნა წარუდგინოს. ეს დასკვნა მშენებელს სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროში შეკვეთილი აქვს, მაგრამ ჯერ არ მიუღია, ანუ გამგეობაში ჯერ ვერ წარადგინა. გამომდინარე აქედან, მიღება-ჩაბარების აქტი არ გაფორმებულა, რადგან გამგეობა დასკვნას ელოდება. მშენებლის ვალდებულებაა, რომ გამგეობაში დასკვნით მივიდეს და თქვას — ყველაფერი წესრიგშია, ნახეთ, აგერ მაქვს სერთიფიცირებული დასკვნაო.

— 14 დეკემბერს კულტურის სამინისტროსგან და ეროვნული მუზეუმისგან საჯარო ინფორმაცია გამოვითხოვე — გარკვეულ კითხვებზე პასუხებთან ერთად მოვითხოვე სვანეთის ახლადაშენებული მუზეუმის შენობასთან დაკავშირებული ტექნიკური და სხვა სახის დოკუმენტაცია. რამდენადაც ვიცი, ახლადაშენებულ მუზეუმში, სადაც საგანძურის გადატანა უნდათ, სამშენებლო მასალების, საღებავების სუნია.

— დიახ, სუნი ჯერ კიდევ ცოტათი არის, ოღონდ შენობის ზედა ნაწილში და არა საცავში. სვანეთის მუზეუმის თანამშრომლებს შორის აზრი გაყოფილია. პრინციპში, ბევრს მიაჩნია, რომ ეს ნამუშევრები მაინც უფრო დაცული იქნება, თუ კი მუზეუმის ფონდში გადაინაცვლებს.

— როგორია ეროვნული მუზეუმის პოზიცია? ჩემი ინფორმაციით, არც მათ აქვთ საგანძურის გადატანისადმი ერთგვაროვანი დამოკიდებულება.

— ესენიც ფიქრობენ, რომ გადატანა უკვე შეიძლება, მაგრამ საქმე ისაა, რომ დეკემბერში თუ არ გადავიდა, მერე შეიძლება დიდი თოვლი მოვიდეს და კლიმატური პირობები გაუარესდეს. ნამუშევრებისთვის ძლიერ ყინვაშიც არ არის სასურველი ტემპერატურის ცვლილება. იქ პატარა შიში არსებობს მუზეუმის ახლადგაკეთებულ სახურავზე — შიში აქვთ რაიმემ არ ჩამოჟონოს.

— ეს შიში, ალბათ, ბრტყელი გადახურვითაა გამოწვეული.

— ბრტყელი გადახურვა მცირე ეჭვს ყოველთვის იწვევს. თუმცა, როგორც ჩანს, დიდი სიფრთხილით გაკეთდა და ყველა პირობა იყო გათვალისწინებული, მაგრამ ვნახოთ რა იქნება.

ნინო მიქიაშვილი

მარინე მიზანდარი სვანეთის საგანძურზე და თურქეთ-საქართველოს მოლაპარაკებაზე



◎ მოულოდნელი რაკურსი

საქართველოს „პალესტინური“ სახელმწიფოს მხარდაჭერა ამერიკის ელჩმა ურჩია

(მეორე გვერდიდან)

ეს ის მთავრობაა, რომელთანაც ობამას ადმინისტრაცია ჩურჩულებს და ისრაელის წინააღმდეგ მოქმედებას სთხოვს. ის, რომ აშშ-ის ელჩი საქართველოში ქვეყნის პრემიერ-მინისტრს პალესტინური სახელმწიფოს მხარდაჭერას სთხოვს, შოკისმომგვრელია, მაგრამ არა მოულოდნელი. ეს არის ის, რასაც შეერთებული შტატები ობამას ხელმძღვანელობით საიდუმლოდ, მაგრამ ეფექტურად ავითარებს მსოფლიო არენაზე ოთხი წლის განმავლობაში. იმ დროს, როდესაც ობამა თავს ევლება გავლენიან ებრაელებს ამერიკაში და ამერიკელები მხარს უჭერენ პატარა ისრაელურ სახელმწიფოს, ის ღალატობს ისრაელს, ჩვენს ერთადერთ სანდო მოკავშირეს ახლო აღმოსავლეთში.

ობამას საგარეო პოლიტიკამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჯიჰადისტებისა და უპირატესად ისლამური რეჟიმების აღმასვლის ხელშეწყობაში ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში. და რთული არ არის იმის პროგნოზირება, თუ რას მოგვიტანს ობამას მომავალი საპრეზიდენტო ვადა. პრეზიდენტი ობამა თანმიმდევრულია თავის საგარეო პოლიტიკაში. მისი ოთხწლიანი პრეზიდენტობის დროს, მსოფლიო რადიკალურად გარდაიქმნა, და მალე მას ვეღარ ვიცნობთ.

ობამა პროისრაელურ განცხადებებს აკეთებდა ხოლმე — მაგრამ სინამდვილეში მისი სიტყვები არაფერს ნიშნავს, როდესაც მან იმავდროულად მოუწოდა ისრაელს, ეღიარებინა პალესტინური სახელმწიფო შერეული საზღვრებით, რითაც მივიღებდით დაჩეხილ და შუაზე გაყოფილ ისრაელს, რომელიც ჯიჰადის თავდასხმებისთვის კატასტროფულად მოწყვლადი იქნებოდა. მან ასევე არაერთხელ შეურაცხყო ნეთანიაჰუ. ცხადია, ობამას უფრო შორს წასვლაც სურს, მაგრამ „პალესტინურ“ და მუსლიმურ სახელმწიფოებს ჯერ კიდევ არ სურთ ასეთი ღრმა თანამშრომლობა, რომც ქმნიდნენ იმის ილუზიას, რომ ისრაელის არსებობა მათთვის მისაღებია და რომ ხანგრძლივი მშვიდობა სურთ.

ობამას მტრული დამოკიდებულება ისრაელის მიმართ გასაკვირი არ არის. მე ვწერდი მისი პოლიტიკის საფრთხის შესახებ ისრაელის და ებრაელი ხალხის მიმართ, ჩემს წიგნში „The Post-American Presidency: The Obama Administration's War on America“. მისი ანტიისრაელური ალიანსები და შემაშფოთებელი ურთიერთობები დეტალურად არის დოკუმენტირებული. ერთადერთი, რაც უცნობი იყო, ის, თუ როგორ მოეპყრობოდა არამეგობრულად განწყობილი ობამა ებრაელთა სამშობლოს. თუკი მისი ანტიებრაული მენტორები და მრჩევლები რაიმეს მანიშნებელია, ისრაელის მხრიდან გონივრული იქნებოდა, რაც შეიძლება სწრაფად გადაეწყოს სხვა თავისუფლების მოყვარე ქვეყნებთან ურთიერთობაზე, ვიდრე შეერთებული შტატების ელჩები კიდევ უფრო მეტ უცხოელ ლიდერს ისრაელის ღალატისკენ უბიძგებენ.

პამელა გელერი,
„americanthinker.com“

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გაეროს კენჭისყრა და საქართველო

გასული დღეების მოვლენებმა აშკარად ცხადყო ქართველთა მიერ ნაფერები ევროატლანტიკური სივრცის სრული სუბიექტურობა საქართველოს საშინაო საკითხებთან მიმართებაში. არ დარჩა ამერიკა-ევროპის მაღალ-დაბალი პოლიტიკოსი თუ მოხელე, რომელსაც საყვედური არ ეთქვა ივანიშვილის ხელისუფლებისთვის, წინათა დაპატიმრების გამო. განსაკუთრებული სიმკაცრე დაფიქსირდა ამერიკელ სენატორთა განცხადებაში, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან სენატორ მაკკეინისა და სხვა სენატორების დამოკიდებულება საакაშვილისა და მისი ნაცების მიმართ იყო და არის განსაკუთრებულად თბილი.

საყვედურები გამოითქვა ამერიკა-საქართველოს ბიზნეს-ფორუმზე, რომელიც ამერიკაში გაიმართა. სენატორმა ლუგარმა დაჭერების მრავლობითობაზე გაამახვილა ყურადღება — მიიჩნია რა პროცესი არადემოკრატიულად. მან ისიც თქვა, რომ ქართველი ხალხი დადებითად არ შეაფასებს ახალი ხელისუფლების ქმედებას.

აქტიურობს სახელმწიფო დეპარტამენტიც — ყოფილ ხელისუფალთა პოლიტიკური დევნა არ უნდა ხდებოდეს, ვიდრე საფუძვლიანი მტკიცებულებები არ დაიდებაო, — აცხადებს ის.

ამერიკელმა სენატორებმა გააკრიტიკეს ფანჯიკიძე, რომელმაც ყოფილ ხელისუფლებას კრიმინალები უწოდა. ჩემი აზრით, ისინი მართლაც კრიმინალები არიან, მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილებამდე დამადანაშაულებელი განცხადებებისგან თავის შეკავება ჯობდა.

ერთი სიტყვთ, დასავლეთმა ისეთი ხმაური ატეხა, თითქოს სააკაშვილი დაეპატიმრებინოთ და არა ზოგიერთი წვრილფეხა მოხელე. წარმოიდგინეთ, რა ამბავი ატყდება, როდესაც ჯერი საакაშვილზე, სხვა ბობოლა ნაცებზე მიდგება?!

მაშ რა ჰქნას, რა იღონოს ხელისუფლებამ? დასავლეთს კოჭი გაუგოროს და თვალი დახუჭოს წინამორბედთა კრიმინალურ ქმედებებზე? დასავლური „კოჰაბიტაცია“ საქართველოს შემთხვევაში შეუძლებელია, ისე, როგორც ეს შეუძლებელი იქნებოდა აშშ-ში, ევროპის ქვეყნებში. მგლისა და კრავის თანაცხოვრება მხოლოდ ცირკში ხდება და ისიც კარგი, გამოცდილი მომთვინიერებლის ხელში, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით ვერც ამერიკელ და ვერც ევროპელ „მწვრთნელებზე“. გარდა ამისა არც საქართველოა ცირკი და საექსპერიმენტო პოლიგონი.

დამოუკიდებლობის 20 წლის განმავლობაში წინა ორი ხელისუფლების მიერ ბევრი გაკეთდა იმისთვის, რომ ათასობით კილომეტრზე მყოფ ამერიკას თავი „ჩამორჩენილი“ ქვეყნის მასწავლებლად ჩაეთვალა. **სწორედ მისი მასწავლებლობის პერიოდში მიაღწია საქართველომ ე.წ. „წარმატებებს“ და, რაც მთავარია, ელიტაურ კორუფციას, რის გამოც შეიცვალა აზრი მოსახლეობამ 1 ოქტომბერს.**

საქართველოს ამომრჩეველმა კი შეიცვალა აზრი საკუთარ ხელისუფლებაზე, მაგრამ ამერიკელ მასწავლებელს აზრი არ შეუცვლია. ის დაბეჯითებით მხარს უჭერს ბოლო ცხრა წლის ვითარებას და ამ ვითარების შემოქმედ საакაშვილის ხელისუფლებას, **რაც თავისთავად უნდა მიანიშნებდეს ახალ მთავრობას, რომ გუნდრუკის კმევით, მეტადრე თავის დამცირებით და ევროატლანტიკური სივრცისადმი კუდის ქიცინით მდგომარეობა არ შეიცვლება.**

ამერიკელთათვის საакაშვილი დღესაც „დემოკრატიის შუქურაა“. რა გაეწყობა, შევუნდოთ ამერიკელებს, მაგრამ გავაგრძელოთ სამართლიანობის დამკვიდრების გზა.

ზოგს მიაჩნია, რომ ამერიკელთა განაწყენება საქართველოს ძვირი დაუჯდება, ქვეყანა იზოლაციაში აღმოჩნდება. კეთილი, მაგრამ იმაზე ცუდი რა უნდა იყოს, რაც დღეს არის?!

სწორედ ამერიკელთა წყალობით იქცა საქართველო უჩამორჩენილეს ქვეყნად, რომელსაც არც ეკონომიკა აქვს, არც მრეწველობა, არც სოფლის მეურნეობა, არც სამედიცინო უზრუნველყოფა და არც გამართული განათლების სისტემა. რაც აქვს — ე.წ. დემოკრატიაა — გაცილებით „მაღალი“ ხარისხის, ვიდრე პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში. ვის ჰყავს დემოკრატიის „შუქურა“ პრეზიდენტი? ცხადია, საქართველოს, თუმცა, ეს ნაკლებად დასამშვიდებელია გაძვალტყავებული და „გადასავლეთელებული“ საზოგადოებისთვის.

საქართველოს მიმართ ევროატლანტიკური სივრცის არაობიექტური დამოკიდებულება ნეგატიურ განცდას იწვევს ქართულ საზოგადოებაში, რაც არ არის გასაკვირი. გასაკვირი ის იქნებოდა, საწინააღმდეგოს რომ ჰქონოდა ადგილი. ქართულმა საზოგადოებამ მწარე გაკვეთილი მიიღო, თანაც მოულოდნელი. მის წარმოდგენაში კეთილშობილი, დახმარების ხელის გამომწვდელი აშშ-ის სახე, ხელში კვერთმომარჯვებული დამსჯელის სახით შეიცვალა ანუ ისეთით, როგორიც სინამდვილეშია.

ქართული საზოგადოება გვიან, მაგრამ მაინც ხვდება, რომ ვიღაცის მხრიდან ხელის გამართვა მუქთად არ ხდება, რომ — საჩუქრებით დახუნძლული

კეთილი თოვლის ბაბუა, მხოლოდ საახალწლო ზღაპრებშია.

სტრატეგიული პარტნიორობა მარტო მიღებას არ ნიშნავს, ის გაცემასაც ნიშნავს. ასეთია მარტივი საურთიერთობო კანონი საერთაშორისო არენაზე. არ მოგწონს? ვიდრე ურთიერთობას დაიწყებ, კარგად უნდა აწონ-დაწონო, რას მოგიტანს ის. ძნელია პატარა, უსუსური, უმწეო ქვეყნისთვის გაჯიქება, მაგრამ მთლად წაწოლაც არ ვარგა, განსაკუთრებით სახის დაკარგვა.

საკუთარი აზრის გამოთქმის შანსიც რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, სულაც არ არის გასაკვირი. როდესაც „სტრატეგიულ პარტნიორობაში“ გაქვს თავი გაყოფილი — თვალებში უნდა უყურო პარტნიორს. ამას მოითხოვს დიდი პარტნიორის მიერ შეთხზული სცენარი.

საქართველომ ერთხელ ამოიღო თავისი დამოუკიდებელი ხმა საერთაშორისო არენაზე — გაეროს სახით და უმალ ისეთი ჭიაკოკონა გაჩაღდა, როგორც გარეთ, ისე შიგნით, სააკაშვილის ნაცებს რომ გაუხარდებოდათ. სწორედ ისინი იყვნენ შიდა კრიტიკული ჭიჭყინის მოთავეები. ცხადია, აშშ-ს და მის მარჯვენა ხელს, ახლო აღმოსავლეთში, ისრაელს აშკარად არ მოეწონათ ახალი ხელისუფლების გადაწყვეტილება, მაგრამ ამის გამო მათ დიდი საყვედური არ უთქვამთ. საყვედური სხვა საკითხთან — დაჭერებთან დაკავშირებით გამოითქვა.

დიპლომატია ერთობ ჩახლართული საგანია — ერთ ადგილას გამოვლენილი დაუბალანსებლობა, მეორე ადგილას წამოჰყოფს თავს. ამერიკამ ჩაყლაპა პალესტინის სასარგებლო ქართული კენჭისყრა, მაგრამ მიუღებლად მიიჩნია ფანჯიკიძის მიერ ძველ ხელისუფალთა კრიმინალებად მოხსენიება.

ფართო საზოგადოებისთვის ვერასდროს გახდება ცნობილი, თუ რამ გადააწყვეტინა ახალ ხელისუფლებას, ამერიკა-ისრაელის საწინააღმდეგო მოქმედება. საქართველო რომ თანამიმდევრულ, დაბალანსებულ საგარეო პოლიტიკას ახორციელებდეს — რეგიონის ვითარების გათვალისწინებით, გასაკვირი არ იქნებოდა პალესტინელთათვის მხარის დაჭერა, მაგრამ ქართული პოლიტიკა ტროლეიბუსის მარშრუტის მსგავსია, რომელსაც არ ახასიათებს მარჯვნივ ან მარცხნივ გადახვევა — ელექტრომავთულებიდან მოწყვეტის შიშით. მისი სვლა-გეზი ვაშინგტონია.

შეგნებულად თუ შეუგნებლად საქართველომ მხარი დაუჭირა ახალი არაბული სახელმწიფოს სამომავლო დაბადებას. პალესტინის გაყოფიდან 65 წლის შემდეგ პალესტინელებმა შეიძლება საკუთარი სამშობლო მოიპოვონ.

1947 წელს ჩაეყარა საფუძველი ახლო აღმოსავლეთის დაპირისპირებას. სწორედ ამ წლის 29 ნოემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო პალესტინის ორ სახელმწიფოდ გაყოფის რეზოლუცია. ერთ მხარეს უნდა ყოფილიყო არაბული სახელმწიფო პალესტინა — ტერიტორიის 44%-ით, მეორეზე — ისრაელი. არაბებმა, იმთავითვე, გაყოფა არასამართლიანად მიიჩნიეს და უარყვეს წინადადება. მათი აზრით, პალესტინა მთლიანად მათ ეკუთვნოდათ. ებრაელებმა რეზოლუცია მიიღეს და დაიწყეს სახელმწიფოს ჩამოყალიბება პალესტინის ტერიტორიის 78%-ზე. პალესტინელებს რაც დარჩათ, არის ე.წ. დასავლეთის სანაპირო და ღაზის სექტორი. 1967 წელს კი ისრაელმა ამ ტერიტორიების ოკუპაციაც მოახდინა.

მრავალი წლის პოლიტიკური ბრძოლისა და ომის შემდეგ, 1992 წელს ოსლოში ხელი მოეწერა პალესტინა-ისრაელის ხელშეკრულებას, ხოლო 1994 წელს შეიქმნა პალესტინის ეროვნული ადმინისტრაცია, რომელმაც დაიწყო ისრაელთან მოლაპარაკება, თუმცა მან ვერაფერი შედეგი ვერ მოიტანა, რაც მთავარია, მან ხელი ვერ შეუწყო პალესტინის სახელმწიფოს შექმნას. უფრო მეტიც, ისრაელმა გულმოდგინედ მიჰყო ხელი ახალდასახლებების მშენებლობას დასავლეთ სანაპიროზე. დაიწყო იერუსალიმის სრული იუდეიზაცია.

პალესტინელთა იმედი — საკუთარი სახელმწიფოს შექმნის თაობაზე — დედაქალაქით იერუსალიმში, სულ უფრო პრობლემური გახდა. თელ-ავივის მეცადინეობით, დასავლეთ სანაპიროზე ახალჩასახლებულთა რაოდენობამ 500 ათასს გადააჭარბა. რაც შეეხება იერუსალიმს — მისგან არაბთათვის მხოლოდ ალ-აქსას მეჩეთი დარჩა, რომლის ირგვლივ მდებარე ტერიტორიას ისრაელი აქუცმაცებს. ისრაელის გეგმაში, 2020 წლამდე იერუსალიმის არაბული მოსახლეობის 20%-მდე შემცირებაა.

არასახარბიელო პერსპექტივისგან თავის დახსნის მიზნით პალესტინამ თხოვნით მიმართა გაეროს, ამ ორგანიზაციაში მისაღებად. გასულ წელს კი პალესტინის პრეზიდენტმა, უშიშროების საბჭოზე სიტყვაც თქვა. აბასს ფეხზე ადგომით მიესალმა საბჭო, მაგრამ თხოვნა არ დაკმაყოფილდა ამერიკა-ისრაელის წყალობით.

მიუხედავად ამისა, პალესტინას მცდელობა არ დაუკლია. წელს, მან კვლავ მიმართა გაეროს გენერალურ ასამბლეას — პალესტინისთვის დამკვირვებელი სახელმწიფოს სტატუსის მინიჭებისათვის. გაიმართა კენჭისყრა, რომლის დროს 160-ზე მეტმა სახელმწიფომ, მათ შორის საქართველომ, მხარი დაუჭირა პალესტინელთა თხოვნას. წინააღმდეგ წავიდნენ აშშ, ისრაელი და თითოოროლა სახელმწიფო.

საქართველოს გადაწყვეტილებას ქვეყნის შიგნით და გარეთ, განსაკუთრებით ისრაელში ხმაური მოჰყვა. ქართულმა დიპლომატიამ, თავის მართლებით, განაცხადა, რომ პალესტინისთვის მხარის დაჭერა არაფერს ნიშნავს, ვინაიდან ამით პალესტინა დამოუკიდებელი არ ხდებაო. გულუბრყვილო, თანაც არადიპლომატიური განცხადებაა. გამოდის, რომ პალესტინას საქართველოს მხარდაჭერის იმედი არ უნდა ჰქონდეს, თუკი მომავალში მისი, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის საკითხი კვლავ დადგება დღის წესრიგში.

მაინც რას აძლევს პალესტინას დამკვირვებლის სტატუსი? უპირველეს ყოვლისა იმას, რომ დასავლეთი სანაპირო, ღაზის სექტორი და იერუსალიმი პალესტინის სახელმწიფოს ტერიტორიებია, რომლებიც გაეროს წესდებისა და საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ისრაელის მიერ არის ოკუპირებული და აქედან გამომდინარე ნებისმიერი ღონისძიება, რომელსაც მიმართავს ისრაელი ამ ტერიტორიებზე, არის უკანონო. ყველა დასახლება, შექმნილი ისრაელის მიერ, პალესტინა-ისრაელს შორის აგებული გამყოფი კედელი, ნებისმიერი გეოგრაფიულ-დემოგრაფიული ცვლილება აღკვეთილი უნდა იქნას.

პალესტინას უჩნდება შესაძლებლობა, გახდეს გაეროს საერთაშორისო ორგანიზაციების, ისეთების, როგორებიცაა — საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო, ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლო, ფაოსა და სხვა ორგანიზაციების წევრობა.

გაეროს კენჭისყრამ ერთობ გააღიზიანა ისრაელი. კენჭისყრამდე ის მოუწოდებდა პალესტინას, ხელი აეღო გადაწყვეტილებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში დაუწესებდა სანქციებს და ოკუპაციას მოახდენდა იმ ტერიტორიებისაც, რომლებიც პალესტინის თვითმმართველობაშია. ისრაელს არც აშშ ჩამორჩა. ის იმუქრებოდა პალესტინისთვის დახმარების შეწყვეტით, ვაშინგტონში არსებული პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ბიუროს დახურვით და სხვა.

გაეროს რეზოლუცია, პალესტინის დამოუკიდებლობისთვის წინგადადგმული ნაბიჯია, რომელმაც შეიძლება წერტილი დაუსვას ისრაელის მიერ პალესტინის ოკუპაციას. თითქოს ამისათვის იღვწის აშშ-იც. ვერბალურად ისრაელიც მიესალმება პალესტინის დამოუკიდებლობას, მაგრამ მხოლოდ ვერბალურად. სინამდვილეში, პოზიტიურ სურვილებს ამოფარებული აშშ-ისრაელი, მაქსიმალურად ცდილობენ, პალესტინის დამოუკიდებლობის მინიჭების პროცესის გაჭიანურებას.

და რომ ეს ასეა, კარგად ჩანს განვლილი ისტორიიდან. 1947 წლიდან მოყოლებული ვერა და ვერ დაედგა თავი ამ პრობლემას, პრობლემას, რომელიც მუდმივ დენთის კასრად ითვლება არა თუ ახლო აღმოსავლეთისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის.

იქნებ აშშ-ს ხელს აძლევს მსგავსი სახიფათო კასრის არსებობა? იქნებ მშვიდობიანობა გაანელებს ამერიკულ გავლენას ახლო აღმოსავლეთში? იქნებ ამერიკელთა გავლენის განელებას ირანის გაძლიერება მოჰყვეს რეგიონში? სხვა მრავალი კითხვის ნიშნები ჩნდება ახლო აღმოსავლეთისადმი ამერიკელთა პოლიტიკიდან გამომდინარე. დღეს რთულია ყველა მათგანზე პასუხის გაცემა, მით უმეტეს რთულია ამერიკული ამოცანის ამოხსნა საქართველოს ხელისუფლებისთვის — უნებლიედ გაჩხერილისა მსოფლიო პრობლემებში.

ჰამლეტ ჟიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ საერთაშორისო გადაზიდვები

„აბრეშუმის ქარიც“ მალე დაუბერავს

საძართველო, თურქეთი, აზერბაიჯანი და ყაზახეთი პროექტ „აბრეშუმის ქარის“ (Silk Wind) ფარგლებში, რომელიც მომავალ წელს ამოქმედდება, ტვირთების გადაზიდვაზე ერთიან ტარიფს შემოიღებენ.

ექსპერტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ერთიანი გამჭოლი ტარიფის შემოღება ახალი მარშრუტის კონკურენტიანობისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, საკვანძო საკითხია. საქმე ისაა, რომ გაისად დასრულდება სარკინიგზო ხაზის ბაქო-თბილისი-ყარსის მშენებლობა, რა დროისთვის „აბრეშუმის ქარის“ ამოქმედებაცაა დაგეგმილი. სწორედ ამ ახალი სარკინიგზო დერეფნის ამოქმედებას, ასევე, მისი განვითარების პერსპექტივებს მიეძღვნა წლეულს მასში მონაწილე სარკინიგზო და სანავსადგურო ადმინისტრაციების, საბაჟო და სატრანსპორტო უწყებათა წარმომადგენელების შეხვედრები. ისინი სტამბოლში, ბაქოსა და აქტაუში გამართულ „ტრასეკას“ (ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის) პროგრამისა და ევროკავშირის პროექტის LOGMOS (ლოჯისტიკური პროცესები და საზღვაო გადაზიდვები) ფარგლებში მოწყობილ შეხვედრებზე განიხილეს.

აღნიშნულ თავყრილობებში მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს პროექტის საერთო კონცეფციას და, ამასთან, ევროპასთან ვაჭრობის საქმეში ჩინეთის მზარდი ეკონომიკური როლი აღიარეს. ამ გარემოებას, ლოგიკურად, ასევე, „ტრასეკას“ სატრანზიტო დერეფნის ფუნქციისა და ბლოკ-მატარებლის „აბრეშუმის ქარის“, აგრეთვე, ბაქო-თბილისი-ყარსის გაისად დასასრულებელი პროექტების მნიშვნელობის დადასტურებაც მოყვება.

უნდა ითქვას, რომ „აბრეშუმის ქარი“, ასევე კასპიის ზღვაზე „როროს“ გადაზიდვების სერვისის ოპტიმიზაცია ტვირთების მიწოდების გლობალური ხაზების ბუნებრივი მოთხოვნილებაა. მათი დანიშნულება კი აზიასა და ევროპას შორის სტაბილურ ეკონომიკურ დერეფანთა ჩამოყალიბებაა.

ასევე, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ „ტრასეკას“ სატრანსპორტო დერეფანზე კონტეინერული გადაზიდვების ნაწილის გადატანისა და, ზოგადად, რეგიონში ამ სახეობის გადაზიდვების შემდგომი განვითარების აუცილებლობის გათვალისწინებით, „აბრეშუმის ქარის“ პროექტის მთავარი დანიშნულებაა საკონტეინერო ბლოკ-მატარებლის მოძრაობისთვის მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობების შექმნა. მათ შორისაა ელექტრონული ინფორმაციის გაცვლის თანამედროვე სისტემით უზრუნველყოფა, სასაზღვრო და საბაჟო პროცედურების გამარტივება, სატრანზიტო, ასევე, გზაში ყოფნის დროის შემცირება. სატრანსპორტო ქსელებისა და ტვირთების გადაზიდვის ორგანიზებასთან დაკავშირებით მხარეებმა მოღვაწეობის პრინციპების თაობაზე ერთობლივი მემორანდუმი შეიმუშავეს.

პროექტის რეალიზაციის პირობების უკეთ უზრუნველსაყოფად, მის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფების მთავარ ამოცანებად მხარეებს შორის შეთანხმებული ტარიფების დადგენასთან დაკავშირებული საკითხების დამუშავებაა. ამის გარდა, ცხადია, მიმდინარე სხვა საკითხების გადაწყვეტის პარალელურად, სპეციალისტები, ასევე, ადგენენ მარშრუტების ერთობლივ პარამეტრებს, რაც სატარიფო პოლიტიკის გამჭვირვალობას უზრუნველყოფს. ეს კი, თავის მხრივ, საქმიან წრეებთან სათანადო რეკლამას უზრუნველყოფს და ურთიერთსარგებლიანი დიალოგის კარგ საფუძველს შექმნის. ცალკეა აღსანიშნავი, რომ „აბრეშუმის ქარის“ ტრასაზე საბაჟო პროცედურების გამარტივების საკითხები ცოტა ხნის წინათ თურქეთის, აზერბაიჯანისა და ყაზახეთის საბაჟო უწყებათა ხელმძღვანელთა აზერბაიჯანში გამართულ შეხვედრაზე განიხილეს.

ამასთან, პროექტი „აბრეშუმის ქარის“ ყოველკვარტალური ბიულეტენის ცნობით, პროექტ LOGMOS-ის ფარგლებში მოლდოვაში ვაჭრობისა და ტრანსპორტის ხელშეწყობის რეგიონალური სემინარი და პრაქტიკული ტრენინგი გაიმართა. აღნიშნული პროექტის ანგარიშში გამოქვეყნდა საპილოტო პროექტის — „უკრაინის, როგორც სამარშრუტო კორიდორის მატარებლის „აბრეშუმის ქარის“ სატრანზიტო ქვეყნის ფუნქცია“ — აღწერა. სამარშრუტო მატარებლის ფუნქცია, არსებითად, დასავლეთ ჩინეთსა და ტრასეკას რეგიონთან, შემდგომ კი კავკასიის, კერძოდ, ფოთისა და ბათუმის ნავსადგურების მეშვეობით შავ ზღვაზე, მერე კი თურქეთის მარმარილოს ზღვის ნავსადგურების გავლით სამხრეთ ევროპასთან არსებული სარკინიგზო კავშირის გაუმჯობესებაა.

აუცილებლად აღსანიშნავია, ასევე, განსახორციელებელი პროექტის კიდევ ერთი ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტი, როგორიცაა, კერძოდ, უსაფრთხოება. ევროპა-კავკასია-აზიის პროგრამისთვის ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხია, რომლის უზრუნველსაყოფად, საავტომობილო ტრანსპორტის საერთაშორისო კავშირთან ერთობლივად კავკასიისა და ცენტრალური აზიის საავტომობილო გზების ელექტრონული რუკების შედგენის პროექტი ხორციელდება, რაც, ჯერ ერთი, ტრასეკას დერეფნის საიმედობას გაზრდის და, მეორეც, გადამზიდველებს ტრანზიტის დროსაც შეუმცირებს.

ოთარ ტურაბელიძე

◎ მეზობელი

აზერბაიჯანი - ქვეყანა, რომელიც ვითარდება დემოკრატიული ღირებულებების საფუძველზე

დამოუკიდებელ აზერბაიჯანს ლიდერის პოზიცია უკავია თავისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით, ღირსეულად ახორციელებს გლობალურ ეკონომიკურ პროექტებს, რომლებსაც აქვთ რეგიონალური და მსოფლიო მნიშვნელობა, მტკიცედ მიაბიჯებს სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის გზით, ემყარება დემოკრატიულ ღირებულებებს. ეს ყოველივე განუხრელს ხდის ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელსაც ქვეყნის ხელისუფლება ახორციელებს. აზერბაიჯანმა უკვე მოიტოვა უკან გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა და აიღო სწორი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კურსი, რომელსაც ნათელი მომავლისკენ მივყავართ.

როგორც აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა განაცხადა, ქვეყნის მომავალი წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს წლევანდელ წელზე უფრო ნათელ მიზნებს და ბიუჯეტის გასავალი ნაწილი შეადგენს 20 მილიარდ მანათს (დაახლოებით 16 მილიარდ აშშ დოლარს).

აზერბაიჯანმა მიზნად დაისახა უზრუნველყოს თავი საკუთარი სასურსათო პროდუქტებით უახლოეს წლებში და მომავალი წლიდან გაზარდოს კრედიტები სოფლის მეურნეობის, დიდი საფერმერო მეურნეობების განვითარებისთვის, მიწის რესურსების ეფექტიანი გამოყენებისთვის. ამ მიმართულებით ხორციელდება მნიშვნელოვანი ღონისძიებები. მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება 6,3 პროცენტით გაიზარდა.

ქვეყნის ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას უთმობს მოსახლეობის უზრუნველყოფას სოფლის მეურნეობის პროდუქტებითა და ადგილობრივი წარმოების სამრეწველო საქონლით. უკვე ეჭვს აღარ იწვევს, რომ ეკონომიკური ზრდა აზერბაიჯანში დინამიკურ პროცესად იქცევა. შემთხვევითი როდია, რომ დაოსის ეკონომიკურ ფორუმზე ქვეყნების კონკურენტუნარიანობასთან დაკავშირებით შედგა სარეიტინგო ცხრილი, რომელშიც აზერბაიჯანს 46-ე ადგილი უკავია მსოფლიოში, დსთ-ს ქვეყნებს შორის კი პირველი ადგილი. მიკროეკონომიკური მაჩვენებლებით ქვეყანა მე-18 ადგილზეა და მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში არასანავთობო ეკონომიკა 10,3 პროცენტით გაიზარდა. 2012 წლის 9 თვის განმავლობაში ქვეყნის ეკონომიკაში დაბანდებული იყო 16 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიციები, საიდანაც 70 პროცენტი საშინაო ინვესტიციაა. ქვეყნის მთლიანი რესურსები 45 მილიარდ დოლარს შეადგენს.

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა მიზნად დაისახა მოსახლეობის ცხოვრებისა და ინტელექტუალური დონის ამაღლება. ქვეყნის წარმატებები ნავთობის სექტორში კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ აზერბაიჯანი იმყოფება დიდი ეკონომიკური განვითარების გზაზე.

აზერბაიჯანელი ხალხის დიდი შვილი ჰეიდარ ალიევი ხელისუფლებაში თავისი დაბრუნების პირველ წლებში ამბობდა: დამოუკიდებელი აზერბაიჯანის რესპუბლიკა იცხოვრებს და გახდება ნიმუში დემოკრატიული პრინციპების, ადამიანის თავისუფლებისა და დემოკრატიული რეფორმების თვალსაზრისით. ქვეყნის ხელმძღვანელობა კვლავ ერთგულია დემოკრატიული პრინციპებისა, მოქალაქეთა უფლებების დაცვისა, სიტყვის თავისუფლებისა და ასე შემდეგ, მტკიცე ნაბიჯებით მიიწევს წინ.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მრჩეველმა თომას მეთიუმ აზერბაიჯანში ვიზიტის დროს განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ინტერესს იჩენს აზერბაიჯანთან თანამშრომლობისთვის ადამიანის უფლებებისა და სიტყვის თავისუფლების დარგში. ამას კიდევ ერთხელ ადასტურებს აზერბაიჯანის ავტორიტეტის ამაღლება მსოფლიო არენაზე.

ისლამ ალიევი

◎ წინადადება

აუცილებელია დიფერენცირებული სწავლების შემოღება

ჩვენს საშუალო სკოლებში სწავლება ყველა ბავშვისთვის ერთი პროგრამით მიმდინარეობს, რაც მეტად საზიანოა მრავალი მასწავლებლისათვის. ორგანიზმი მკაცრად ინდივიდუალურ არსებას წარმოადგენს თავისი ფიზიოლოგიურ და ფსიქო-სომატური განვითარებით, ნიჭითა და უნარებით. ამიტომ ყველა ბავშვისთვის ერთი და იგივე მასალის მიწოდება სასწავლო პროცესში მიუღებელია.

თქვენ რას ფიქრობთ, მშობლებო, ბავშვებო და პედაგოგებო?

მაგალითად, ბავშვთა უმეტესობა ვერ ძლევს მათემატიკას, წარმოდგენა არ აქვს ამ საგანზე, სკოლას კი ყველა ამთავრებს და ატესტატს ღებულობს. ვის სჭირდება ეს სიყალბე? ასეთი სქოლასტიკა ბავშვთა ცნობიერებასა და ჯანმრთელობაზე უარყოფითად აისახება. ბავშვი ეჩვევა სიყალბეს, არაობიექტურობას და სამართლიანობის დეფიციტს განიცდის. როდესაც ბავშვი ვერ ძლევს საგანს, ეს მის ფსიქიკაზე მეტად დამთრგუნველად მოქმედებს, ხშირად კი პედაგოგებსა და მშობლებთან კონფლიქტის მიზეზი ხდება. ამის გამო ბავშვი შეიძლება ფსიქიკურად დაავადდეს, რასაც სომატური დაავადებაც მოჰყვება. ვითარდება დეპრესია და ზოგჯერ სუიციდური შემთხვევებიცაა აღნიშნული.

რამდენიმე წლის წინათ ერთ-ერთი რაიონის საშუალო სკოლაში 12 წლის გოგონამ სკოლის ეზოში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა მამის სანადირო თოფით. ამ გოგონას მუდმივი კონფლიქტი ჰქონდა პედაგოგებსა და მშობლებთან იმის გამო, რომ ვერ ძლევდა მათემატიკას. მას შეურაცხყოფდნენ და ფიზიკურადაც კი უსწორდებოდნენ. ასეთმა სასტიკმა მოპყრობამ „დაანგრია ბავშვის თავმოყვარეობა და გზა მისცა პროტესტის უკიდურეს ფორმას. ეს რომ არ განმეორდეს და ჯანსაღი თაობა რომ გვყავდეს, საჭიროა სკოლებში დიფერენცირებული სწავლების შემოღება. ძირითად ჯგუფს უნდა გამოეყონ ის ბავშვები, რომელთაც არ აქვთ მათემატიკის ნიჭი და მათ გაიოლებული პროგრამით უნდა ასწავლონ მათემატიკა. ამრიგად მივიღებთ ორ ჯგუფს: ძირითადს, სადაც ბავშვები ძლევენ მათემატიკასაც და ჰუმანიტარულ საგნებსაც და ჰუმანიტარულ ჯგუფს, სადაც მათემატიკა იოლი, დასაძლევი პროგრამით ისწავლება და შეფასდება ჩათვლების სახით.

თუ გვსურს, რომ გვყავდეს ჯანსაღი და ხალისიანი მოსწავლე ახალგაზრდობა, ამის ერთ-ერთი გამოსავალი დიფერენცირებული სწავლების შემოღებაა, რაც უზრუნველყოფს ბავშვთა ფსიქო-სომატურ სიჯანსაღეს და მთლიანად ჩვენი საზოგადოების ჯანმრთელობასაც.

მამია მდინარაძე,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ერთი გამოფენის კვალდაკვალ

ნეტავ გალაკტიონი რას იტყოდა?

გალერეა „ვერნისაჟმა“ რეზო (ემელიანე) ადამიას პერსონალურ გამოფენას უმასპინძლა. გამოფენა „გალაკტიონი-ფერწერაში“ ტიციან ტაბიძეს მიეძღვნა.

— ბატონმა რეზომ ეს ორი გენიოსი საგანგებოდ წარმოაჩინა ერთად, — ბრძანა ბატონმა ნოდარ ტაბიძემ, — ბევრს უწერია გალაკტიონისა და ტიციანის ურთიერთობაზე. ისინი ხომ ბიძაშვილები იყვნენ, რიონის პირას გაზრდილი ბიჭები. ბატონმა რეზომ გალაკტიონი და ტიციანი დააკავშირა ერთმანეთს მისთვის დამახასიათებელი ხელრთვით, კოსმოსთა ურთიერთობით. როდესაც ტიციან ტაბიძე დახვრიტეს, მაშინ საქართველოში ყველაზე დიდი პოეტები ბრძანდებოდნენ ტიციანი და გალაკტიონი.

ბატონო რეზო, მივცემ თავს ნებას და გავიმეორებ იმას, რაც არაერთგზის მითქვამს და დამიწერია. მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის მერიდიანი ჭყვიშზე გადის. თქვენ ეს დაიჭირეთ და ამიტომაც ასე მშვენიერია თქვენი სურათები. იქნებ ეს ეპითეტი არ იყოს სწორი. უმჯობესია ვთქვათ: — ამიტომაცაა ასეთი გენიალური თქვენი ნამუშევრები“...



ჭყვიში...გალაკტიონ ტაბიძის სახლი და თოვლიან-მთვარიანი ღამე. იისფერ თოვლთან და სავსე მთვარესთან განმარტოებას კოსმოსიდან მოსული მუზები ეხმიანებიან... იასამნისფერ პირამიდაში შვლის გარინდებით იმზირება დიდი პოეტის ლურჯად მოციაგე თვალი. თვალი ანათებს სიკვდილსაც და პოეზიასაც...

გამოფენაზე თქვენ გაივლით დიდ კოსმოსურ გზას, ეს გალაკტიონის სულის მოძრაობაა მარადისობაში, სიმშვიდისა და დაფიქრების გარდა, კოსმოსური მუზის მძაფრ განწყობილებას, პოეტის სისხლის, სულისა და სამყაროს მთლიანობას შეიგრძნობთ. ფერწერის დიდი ოსტატები სულისა და კოსმიურ უხილავობას გადმოსცემენ. ამ უხილავობას კოსმიური გამოსახულებებით ქმნის და საჭირო შედეგსაც აღწევს ბატონი რეზო ადამია.

ფორმის ასეთი სისრულითა და სისავსით მწერლისადმი პერსონალური გამოფენა ჯერ არავის მიუძღვნია, თანაც ჯერ გამოუყენებელი ტექნოლოგიით. ეს არის მიდგომა — პლანეტარიუმი. ეს ნამუშევრები მხატვარმა ინდივიდუალური შესრულების ტექნიკით შექმნა.

— კოსმიურ-პლანეტარული პერიოდი მხატვრის შემოქმედებაში უფრო მეტად ავსახე გალაკტიონისა და ტერენტი გრანელის შემოქმედებაში, — გვითხრა ბატონმა რეზომ, — ტერენტი გრანელზე ციკლი ხომ გახსოვთ? გალაკტიონის ციკლით პლანეტარიუმი გავაძლიერე. ორი წელი ვმუშაობდი ამ ციკლზე. ძალიან მიყვარს გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია, რევაზ ინანიშვილი. მომავალში ყველას მივუძღვნი პლანეტარიუმის სურათებს. ყველაზე დიდი გმირი და მგოსანი კი ჩემთვის გალაკტიონია....

კოსმოსის სილამაზესა და იდუმალებას თეთრი, ლურჯი, მზისფერი, იასამნისფერი გვაზიარებს... აგერ მგოსნის გონების, სულისა და მუზის ფორიაქი — „ლურჯა ცხენები“... ჩამავალ მზის ნამქერით ნაფერი სული, კუბო, შეშლილი სახეები, ჩონჩხები, ამაოება და მაინც ლურჯა ცხენების თავაწყვეტილი გრიალი... ღამე გალაკტიონის ეზოში, სადაც მთვარე და ვარსკვლავები მოსეირნობენ, მაგრამ ხშირად მგოსანს უცნაური და უცხო ფორმის დემონი სტუმრობდა... შორეულ კოსმოსში შავი მხარე დახეტიალობს, ეს შავი წრე ყველგანაა და თან სდევს მგოსანს. „სამყაროს სახე და გალაკტიონი — დაბადება, სიკვდილი, ბოროტება.“ აქვე აფრინდება მტრედი — სიკეთე, მაგრამ გველები პლანეტასაც ყლაპავენ.

ჭყვიში. გალაკტიონის სახლი. 1957 წლის 16 მარტი. ძაღლი მთელი ღამე ყმუოდა, ტიროდა, გმინავდა და ცუდად წინასწარმეტყველებდა. ადამიანურად მოთქვამდა ძაღლი... აგერ დედის ლანდი, ისევ უბედურების მომასწავებელი შავი ლაქა... სისხლისა და დრამის ღელვა კოსმოსში, დიდი მგოსნის სისხლშეწირვა და კოსმოსური იდუმალება, გალაკტიონის გარდაცვალების დღეს — 17 მარტს. სიცოცხლე ჯოჯოხეთს უტოლდება, მაგრამ ბედისა და იმედის ვარსკვლავი ყველაფერს ანათებს... სამყარო, დაბადება და სიკვდილი, 1959 წელი. გალაკტიონის სულმა დედამიწაზე იმოგზაურა სოფელ ჭყვიშის გავლით... იესო ჯვარია, თავის ქალა — სიკვდილი, დაბადება კი — იმედი. თითქოსდა კოსმოსური ლაქა წაშალა მგოსნის უმანკო სისხლმა... „თითქოს გალაკტიონის ტრაგიკული სხეულიდან ელვად ქცეული სული ამოდის, იაიასავით, ია-იას ფერიაო სული. ეს ყველაფერი შეიგრძნო და პოეზიად აქცია გალაკტიონმა“, — მეუბნება ბატონი რეზო.

შემთხვევით არ არის, რომ გამოფენაზე პარიზულმა პეიზაჟებმაც დაუმშვენა გვერდი გალაკტიონის ციკლს. ისევ ბატონ ნოდარ ტაბიძეს მოვუსმინოთ:

„სხვათა შორის, ბატონი რეზოსათვის პარიზი მშობლიური ხელოვნების დიდი აკვანია. პარიზში მან არაერთი წელი გაატარა, საფრანგეთში ეზიარა დიდი მხატვრების ხელოვნებას, ესენი გახლავთ: მოდილიანი, ვანგოგი, სეზანი, გოგენი, რენუარი, რუო, დერენი, ვლამინკი, მარკე, მატისი, პიკასო, ვანდონგენი, კანდინსკი, ხუან-მირო, შაგალი, ლეჟე, ლარიონოვი, ვერა ფაღავა, პრადუე, სუტინი და სხვა მრავალი დიდი მხატვრის, როგორც კლასიკოსების, ასევე ანტიკური პერიოდის შედევრებს, მათ გენიალურ შემოქმედებას. თავადაც არაერთი გამოფენა მოუწყვია პარიზში, მარსელში, შერბურგში, კარტერსა თუ პორტბაილში (ნორმანდია). ვაგრძელებ საუბარს პარიზზე.

აქ, ამ გამოფენაზე წარმოდგენილ პარიზის ხედებს — პეიზაჟებს აქვს ძალიან დიდი დატვირთვა. აბა, დააკვირდით სურათს „გალაკტიონი პარიზში“ — სან-მიშელის მოედანთან მზე ჩადის, გალაკტიონი ჩამომჯდარა მარმარილოს სკამზე და გაოგნებული შეჰყურებს ჩამავალი მზის სილამაზეს, ფერთა საოცრებებს. ვინ იცის, რომელი შედევრი დაიბადა ან ჩაისახა მაშინ და ბატონი რეზო ამ ფერწერული სურათის გვერდით ფენს პარიზული მშვენიერების პეიზაჟებს, ესენია: „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“, „მზის ჩასვლა მდინარე სენასთან“, შორს მოჩანს მოცისფრო, იაიას ფერებში, ლუვრის ხედი; აგერ, ჩვენს წინ თავს იწონებს „შემოდგომა პარიზში“ და სხვა მრავალი სურათი,“ — აღნიშნა ნოდარ ტაბიძემ.

ირგვლივ კი ეს „ია-იას ფერებია“... იასამნისფერ პირამიდაში შვლის გარინდებით იმზირება დიდი პოეტის ლურჯად მოციაგე თვალი... გეომეტრიულ ფორმათა და ფერთა უსასრულობა კოსმოსში კვებავდა დიდი მგოსნის გონებას, სულსა და მუზას. თეთრი, მზისფერი, ია-ია ფერებით მოჩანან პლანეტები — ჩვენი მეზობელი გალაქტიკის „ანდრომედას“ ცენტრი იქნება ეს თუ ჩვენი გალაქტიკის „ირმის ნახტომის“ ცენტრი... მხატვარი აინშტაინსაც წარმოსახავს — ის საოცრება იყო მეცნიერებაში, ეს კი პოეზიაში. ერთმა შექმნა ზეპოეზია, მეორემ — ზემეცნიერება, ორივე კი სამყაროდან იკვებებოდა, — ამბობს ბატონი რეზო.

ხელოვნებას შეწირული მგოსნის სისხლით მორწყულა კოსმოსი. მთავარანგელოზიც დაუმწუხრებია გალაკტიონის უდანაშაულო სისხლს. მგოსანო, რატომ დაასწარი ზეციურ კანონებს? — კითხულობს მხატვარი. ვკითხულობთ ჩვენც. რას იტყოდა ნეტავ გალაკტიონი?

ამონარიდები შთაბეჭდილებების წიგნიდან:

„რეზო სრულიად განსხვავებული მხატვარია. მას საკუთარი ხელწერა აქვს და ქართული სახვითი ხელოვნების ბრწყინვალე წარმომადგენელია. ილია პატაშური.“

„რეზო ადამიას გამოფენა მე და ჩემს მეუღლეს ძალიან მოგვწონს. ლამარა ჭყონია და მისი მეუღლე.“

„ბატონო რეზო, რთულია გალაკტიონს შეეხო! — მიხარია, რომ შეხვედი შენ განწყობით — ნეტავ გალაკტიონი რას იტყოდა დანახულ სამყაროზე, რაც შენ დახატე? დიდი მადლობა. მოქანდაკე გენო ზაქარაია.“

„ამოუწურავი, ხილვებით სავსე უსაზღვროება, სიკვდილ-სიცოცხლის მეტაფორული მოზაიკა, წერტილები... წერტილების გალავნიდან ამოკვეთილი გალაკტიონი. ლია ნაროუშვილი“

„მე, როგორც რეჟისორსა და მომღერალს ძალიან მომეწონა, ბატონო რეზო, თქვენი შემოქმედება. ვფიქრობ, კინო და მუსიკალურ სამყაროსთან ეს ძალზე ახლოს გახლავთ. რაღაც პოეტური და უკიდეგანოა, როგორც გალაკტიონი. პატივისცემით დიდი დავით და ვანო სარაჯიშვილების შთამომავალი კახა სარაჯიშვილი.“

„გამოფენას გილოცავთ. ჩემთვის დიდი სიხარული და სიურპრიზია. მე ვიცნობ თქვენს ნამუშევრებს დიდი ხანია. შთაბეჭდილება ფანტასტიკურია და ეფექტურია. ვერნერ რუდიგერი, გერმანელი მხატვარი.“

„რა საოცარი მდიდრული, მრავალფეროვანი გამოფენაა! პარიზის ნახატები დაუვიწყარია და ცოცხალია. თითოეულ ადგილს იმ წამს იცნობ და მიხვდები, რომელ თვეშია შექმნილი თითოეული ქუჩა და ხედი. დიდი მადლობა ასეთი ლამაზი, მშვენიერი გამოფენისთვის. დიდი მოწიწებით მახსენდება საფრანგეთის გამოფენა და თქვენი დაუვიწყარი პეიზაჟები, ფრანგები რომ მოხიბლა. დიდი მადლობა. პატივისცემით და დიდი სიყვარულით — რუსუდან ფეტვიაშვილი“.

„აღფრთოვანებული ვარ. მახსენდება კ. სტანისლავსკის სიტყვები: არ არსებობს ხელოვნება განცდების გარეშე. სასიამოვნო განცდები, გალაკტიონი და სამყარო, უსასრულო კოსმოსი. არაჩვეულებრივია ფერთა გამა. უაღრესად მომწონს მთვარიანი ღამეები იმერეთში. იმერეთის თოვლი, რამდენი სიყვარული და სითბოა გადმოცემული. ბატონო რეზო, თქვენს ნიჭს, ფანტაზიას, ხელოვნებას გაუმარჯოს! აკადემიკოსი ჯუმბერ ლომინაძე.“

„არ მიკვირს შენი ტალანტისა, რამეთუ მჯერა შენი ნიჭიერებისა, გაიხარე, ჩემო რეზო. ჯანსუღ ჩარკვიანი.“

ჩვენკი ჩვენდათავად დავამატებდით, რომ კარგი იქნება, თუ რეზო ადამიას მიერ გალაკტიონზე შექმნილი კოსმოსური სურათების ალბომი მალე გამოიცემა და კიდევ ერთი საშვილიშვილო საქმე აღსრულდება.

თამარ შაიშმელაშვილი

◎ ჩანახატი

მხურვალე მადლობა ზურაბს, მსმენელზე ასე რომ ზრუნავს...

ვთქვი ერთხელ — არც სასიმღერო ხმა გამოიმეტა ჩემთვის ბუნებამ და არც მუსიკალური სმენა, მაგრამ ოპერის სიყვარული დამანათლა და ამისთვისაც მადლობელი ვარ-მეთქი... მოხდა ისე, რომ ბოლო ხანს ნამეტანი გავუშინაურდი კონსერვატორიის დარბაზებს, დიდსა თუ მცირეს, — ახლობელი პროფესორის, ცნობილი მუსიკისმცოდნის წყალობით, სისტემატურად რომ მეპატიჟება და შევყავარ...

ჰოდა, სულ ახლახან ჩვენი საამაყო ტენორის, „გამოსკოველებული“ სახელგანსმენილი ქართველი მომღერლის ზურაბ სოტკილავას და იმისი ორი მოწაფის კონცერტზე მოვხვდი (მოსკოვის ხსენებაზე, ბატონი ზურაბი იქაური დიდი თეატრის ПОЖИЗНЕННЫЙ СОЛИСТ-ი ყოფილა: არის თურმე ასეთი საპატიო წოდება, „სიცოცხლის ბოლომდე სოლისტი“). ამ ორი აღზრდილიდან, ორი პირმშვენიერი და ხმამშვენიერი ახალგაზრდა ქალბატონიდან ერთი ქართველი გახლდათ — სოპრანო მარინე ნაჭყებია, მეორე — რუსი, მეცო-სოპრანო ქსენია ლეონიდოვა; მივუმატოთ ჩინებული კონცერტმაისტერი კარინა პოღოსბეკოვა და აი, ასეთმა ინტერნაციონალურმა კვარტეტმა, სახელოვანი მაესტროს ზურაბ სოტკილავას შესანიშნავი გაძღოლით, დიდხანს დასახსომებელი ვოკალური საღამო გვაჩუქა დამსწრეთ.

საღამოს სული და გული კი, რა თქმა უნდა, თვით ბატონი ზურაბი ბრძანდებოდა. იშვიათია, ალბათ, რომ მომღერალმა 75 წლის ასაკში ასე საამოდ სასმენად შემოინახოს ხმა და ასე ცინცხლად იმღეროს (აქამდე მეგონა, რომ ლეგენდარული იტალიელი ტენორი ტიტო სკიპა იყო რეკორდსმენი, 70 წლამდე მსმენელის დამტკბობი...). არადა, ერთ მომენტში სცენიდან გამოუტყდა დარბაზს — გუშინ რომ კბილის ოპერაცია არ გამეკეთებინა, დღეს თქვენს წინაშე ვერ წარვსდგებოდიო, რითაც კიდევ ერთხელ მოსწყვიტა ტაში, ნაწილობრივ, ალბათ, ხელმადლიანის სტომატოლოგ-ქირურგის მისამართითაც... მოგვიბოდიშა კიდევაც, თუმცა საბოდიშო, ღმერთმანი, სულაც არა სჭირდა რა... რომ იცოდეთ, რა ხალისზე იყო მოსული! „ბის“-ზე ნ თუ 6 ვოკალური ნომერი შეასრულა სამ მომხიბვლელ პარტნიორთან ერთად... მანამდე კი ოტელოს სიკვდილისწინა სცენის უბადლო შესრულებით (დეზდემონა — მარინე ნაჭყებია) ცრემლები მოგვგვარა არა ერთსა და ორს... მთელი ორნახევარი საათის სიგრძეზე გაისმოდა დარბაზიდან „საერთაშორისო“ „ბრავოს“-თან ერთად ქართული „ყოჩაღ“ და „მადლობა“...

თამაზ ეგანოიძე

◎ ინფორმაცია

2013 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების პროგრამები გამოქვეყნდა

გამოცდებინ ეროვნული ცენტრი 2013 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების პროგრამებს აქვეყნებს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ გამოცდების ეროვნული ცენტრიდან აცნობეს, საგამოცდო პროგრამების ნახვა ცენტრის ვებგვერდზე (www.naec.ge) უკვე შესაძლებელია. აბიტურიენტებს საშუალება აქვთ სამი სავალდებულო და შვიდი არჩევითი საგნის პროგრამებს გაეცნონ.

— 2013 წლის საგამოცდო პროგრამების გაცნობის შემდეგ, დაინტერესებულ პირს, უფრო ზუსტად ეცოდინება, თუ რომელი საკითხების ცოდნა მოეთხოვება ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარებისათვის, — აცხადებენ ცენტრში.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

„ახლა ბურთი რუსეთის მხარეზეა“

საქართველოს ვიცე-პრემიერმა გაგვაცნო რუსეთის ფედერაციასთან ნორმალური ურთიერთობის გეგმა

საქართველოს ვიცე-პრემიერმა, თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ ჩვენი გაზეთის სპეციალურ კორესპონდენტს ოლგა ალიონოვას უამბო იმის შესახებ, თუ საქართველოს ახალი მთავრობა როგორ აპირებს რუსეთთან ურთიერთობის აღდგენას.

— რატომ არის, რომ სწორედ თქვენ შეგთავაზეს თავდაცვის მინისტრის თანამდებობა? თქვენ გაქვთ მდიდარი დიპლომატიური გამოცდილება, ვფიქრობდი, რომ თქვენ შეგთავაზებდნენ საგარეო საქმეთა მინისტრობას.

— ეს არის პრემიერ-მინისტრ ივანიშვილის გადაწყვეტილება, მაგრამ ეს შეიძლება განვმარტო. მე თავის დროზე ვმუშაობდი თავდაცვის მინისტრის მოადგილედ, ეს სამინისტრო ერთ-ერთი საკვანძოა არა მხოლოდ თავდაცვისთვის. ჩვენთან არაორდინარული სიტუაციაა — ოკუპირებულია ტერიტორიის ოცი პროცენტი. და ნატოში ინტეგრაციის პროცესი განპირობებულია რეფორმებით ამ უწყებაში.

ჩვენ მხარს ვუჭერთ პრაგმატულ მიდგომას, თუ როგორ უნდა მოვაწყოთ ჩვენი თავდაცვა. ჩვენ დეკლარირებას ვუწევთ, რომ ტერიტორიული პრობლემები, რაც რუსეთის ფედერაციასთან გვაქვს, არ გადაწყდება სამხედრო ძალის დახმარებით, მაგრამ ჩვენ უნდა მოვახდინოთ რეაგირება და მობილურად და სწრაფად გავაკეთოთ გამოწვევები, რომლებიც გაჩნდება. ჩვენ ასეთი სიტუაცია გაგვიჩნდა არჩევნებამდე ლაფანყურში, როდესაც რომელიღაც ჯგუფი საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩნდა. ასე რომ, ჩვენ ვაშენებთ მობილურ სამხედრო ძალებს, რომლებსაც შეუძლიათ რეაგირება მოახდინონ კონკრეტულ პრობლემებზე, რაც შეიძლება გაჩნდეს ჩვენთან რეგიონში. და ეს დიდი წამოწყებაა. მალე ჩვენ გამოვაცხადებთ, თუ რა რეფორმები განხორციელდება თავდაცვის სამინისტროში, და ეს მოგვცემს კიდევ ერთ იმპულსს ჩრდილოატლანტიკურ სტრუქტურებთან დაახლოებისთვის.

მეორე პრობლემა, რაც აქ იყო არჩევნებამდე, — ეს არის სამოქალაქო კონტროლის უქონლობა შეიარაღებულ ძალებზე. და ერთი-თვენახევრის განმავლობაში პრაქტიკულად შევძელით ამ საკითხის გადაწყვეტა. სამწუხაროდ, პრეზიდენტმა სააკაშვილმა არ დაუჭირა მხარი გენერალური შტაბის უფროსის კანდიდატურებს, რომლებიც ჩვენ გვქონდა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, კონსულტაციების დახმარებით, მივედით კონკრეტულ კანდიდატურასთან, რომელსაც მხარი დავუჭირეთ მეც, პრეზიდენტმაც, და ეს არის კიდევ ერთი ნაბიჯი საქართველოში პოლიტიკური კლიმატის გაუმჯობესებისკენ. ასე რომ, ბევრი საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს სამხედრო უწყებასთან, ეს არა მხოლოდ საგარეო-პოლიტიკური, არამედ საშინაო-პოლიტიკური პრობლემებია.

— თუ ანალიზს გავუკეთებთ თქვენი წინამორბედების გამოცდილებას ამ პოსტზე, რაიმე პოზიტიური მომენტები იყო?

— იყო, რასაკვირველია. მე მახსოვს 1992-1993 წლების ქართული არმია, როდესაც ასევე ვიყავი ამ პროცესების თანამონაწილე, და ახლა ვხედავ, თუ როგორია იგი ამჟამად. ეს არის დიდი ტრანსფორმაცია. და მეტად მოხარული ვარ ვხედავდე, რომ ახალი ოფიცერთა შემადგენლობა გამოდის უმაღლესი სასწავლებლებიდან, და მათ პრაქტიკულად კონტროლი დააწესეს შეიარაღებულ ძალებზე — საუალო დონეზე. ეს, რასაკვირველია, ჩემი წინამორბედების დამსახურებაა. მე მქონდა შეხვედრები თავდაცვის ყოფილ მინისტრებთან დავით სიხარულიძესთან, დავით თევზაძესთან, სხვა ყოფილ ხელმძღვანელებთან. ეს ინსტიტუციონალური პროექტია. იქნება საკონსულტაციო ორგანო, რომელიც დამეხმარება მე და სტრუქტურებს რეფორმებში. ის პოზიტიური, რაც იყო, გამოყენებული იქნება. მაგრამ ის შეცდომები, რაც დაუშვეს, აღარ განმეორდება. მეც უმალვე, როგორც კი გავხდი თავდაცვის მინისტრი, განვაცხადე ამის შესახებ. უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ჩვენ არ გაგვიკეთებია სტრატეგიულ, ოპერატიულ, ტაქტიკურ დონეზე შეცდომების კრიტიკული ანალიზი, რამაც ოცი წლის განმავლობაში სამჯერ მიგვიყვანა რუსეთის ფედერაციასთან სრულმასშტაბიან საბრძოლო მოქმედებებთან. და ჩვენ უნდა გავაკეთოთ ეს ანალიზი, ეს დოკუმენტი უნდა იდოს ჩვენს მაგიდაზე, და მის საფუძველზე უნდა ავაგოთ საქართველოს თავდაცვისუნარიანობა. ასე რომ, საქმე ჩვენ წინ ბევრი გვიდევს.

— რა იყო წინა ხელმძღვანელობის შეცდომები, გაუმჭვირვალობის გარდა?

— უწინარეს ყოვლისა, სამოქალაქო კონტროლი არ იყო აღქმული სერიოზულად და ამიტომ სისტემა დაიხურა. და ავტორიტარიზმმა სისტემის შიგნით მიგვიყვანა იმასთან, რომ დიდი შეცდომები იქნა დაშვებული სამხედრო პოლიციაშიც, სხვა სტრუქტურებშიც, რომლებიც დაბრკოლებებს აღარც კი გრძნობდნენ.

— რა რეფორმების განხორციელებას აპირებთ არმიაში?

— ჩვენ შევცვლით ყველაზე მთავარს. მთავარი ღირებულება ჩვენთვის — ეს არის ჯარისკაცი, ოფიცერი, სამხედრო მოსამსახურე. და მე როგორც სამოქალაქო მინისტრი და ჩვენი სამოქალაქო აპარატი გააკეთებს ყველაფერს, რათა მივცეთ ჯარისკაცსა და ოფიცერს შესაძლებლობა, იგრძნოს თავი სოციალურად უზრუნველყოფილად. რომ მათ ჰქონდეთ შეიარაღება, რაც აუცილებელია, რათა თავი იგრძნონ საზოგადოების ელიტარულ წევრებად. ჩემთვის, ჩემი გუნდისთვის არმია ისეთივე ღირებულია, როგორც ოჯახი. ეს ახალი მსოფლმხედველობაა, რაც მოიტანა ახალმა მთავრობამ, უზრუნველვყოთ არმიის სტაბილურობა. და ეს არის წერტილი, რომელშიც მივაღწიეთ ურთიერთგაგებას პრეზიდენტთანაც, როდესაც ჩვენ ვათანხმდებოდით გენერალური შტაბის უფროსის კანდიდატურას და როდესაც პრეზიდენტი თავად მოვიდა აქ სამინისტროში. ჩვენ გვაქვს ფუნდამენტური დაპირისპირება პრეზიდენტთან თითქმის ყველა საკითხში, ჩვენ შევთანხმდით, რომ არმია, სამხედრო მოსამსახურეები — ეს არის ის, რის შესახებაც უნდა ვიფიქროთ ერთობლივად. ასე რომ, ეს იყო ძალიან კარგი პოზიტიური სიგნალი ორივე პოლიტიკური პარტიისთვის.

— თქვენ ბრძანეთ საქართველოს ევროატლანტიკური პერსპექტივების შესახებ, ესე იგი, თქვენ ძველებურად გსურთ ნატოში ინტეგრაცია. ოქტომბერში გამართულმა არჩევნებმა მიუახლოვა საქართველო ალიანსს თუ უკან დასწია იგი?

— იმან, რაც მოხდა 1 ოქტომბერს, კიდევ ერთხელ უჩვენა ყველას, რომ საქართველო — ეს დემოკრატიული საზოგადოებაა. და ჩვენ არა მხოლოდ ვსაუბრობთ ევროპულად, არამედ ვმოძრაობთ კიდეც ამ მიმართულებით. ჩვენ ვცვლით მთავრობას არჩევნების დახმარებით. ეს მოხდა პირველად უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში, და ამან უფრო დაგვაახლოვა ევროპასთან. და ჩვენი საგარეო პოლიტიკური სტრატეგია — ეს არის სრულმასშტაბიანი ინტეგრაცია ევროკავშირსა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში. ამიტომ პრემიერ-მინისტრის პირველი ვიზიტი იყო ბრიუსელში, სადაც შევხვდით ევროკავშირისა და ნატოს ხელმძღვანელებს. და ეს არა მხოლოდ ჩვენი გადაწყვეტილებაა, ეს ქართველი ხალხის გადაწყვეტილებაა. ვფიქრობ, რომ რუსეთს ესმის ეს. რუსეთს ესმის, რომ საქართველო მოძრაობს პირდაპირ, რათა გახდეს ევროპული ოჯახის ნაწილი. ვფიქრობ, და ნატოს გენერალურმა მდივანმაც აღნიშნა ჩვენს შეხვედრაზე: ჩვენი ინტეგრაცია არ ნიშნავს, რომ არ უნდა გვქონდეს კარგი მეზობლური ურთიერთობანი რუსეთთან. პირიქით, ნატო და ევროკავშირი მზად არიან, დაგვეხმარონ, აღვადგინოთ ასეთი ურთიერთობანი რუსეთის ფედერაციასთან.

ჩვენი პოზიცია იყო მეტად მარტივი, როდესაც პრემიერ-მინისტრმა თქვა: ჩვენ გვსურს ურთიერთობანი რუსეთთან, და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ჩვენ, როგორც მინიმუმი, გვქონდეს სამუშაო ურთიერთობანი რუსეთთან...

— რუსეთის ხელმძღვანელობა ამბობს, რომ მან უკვე გამოიყვანა ჯარები საქართველოს ტერიტორიიდან, ის კი, რომ რუსეთის სამხედროები დგანან აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, განპირობებულია ახალი რეალობით, რომელშიც არსებობენ რუსეთის მიერ აღიარებული სახელმწიფოები.

— ამბობენ. მაგრამ არავის არ მოუხდენია მათი იქ ყოფნის ლეგიტიმურობა. ამიტომ ჩვენ საკითხს ვუდგებით პრაგმატული პოზიციიდან: ვაჭრობა, კომუნიკაცია, ერთობლივი ინფრასტრუქტურული პროექტები. როდესაც საუბარს დავიწყებთ ერთმანეთთან, მათ წინაშე გადაიშლება ახალი შესაძლებლობანი.

— მაინც არ მესმის, რისი იმედი გაქვთ. რუსეთში ბევრ პოლიტიკოსს მიაჩნია, რომ საქართველოს რუსეთი სჭირდება უფრო მეტად, ვიდრე რუსეთს საქართველო. და რაა, თუ საქართველოს სურს ურთიერთობათა განვითარება, მან ხომ რაღაც უნდა შესთავაზოს. რუსეთს სურს, რომ საქართველო არ წავიდეს ნატოსკენ, თქვენ კი იქით მაინც მიდიხართ, მაშასადამე, თქვენ არაფერი შეგიძლიათ შესთავაზოთ მას. ეს ჩიხია.

— მაშ, რაღა დაგვრჩენია? წავიდეთ საქართველოდან და ყველაფერი რუსეთს მივცეთ? ეს არის ჩვენი რუსი კოლეგების არარეალურად ჩიხური პოზიცია. დიახ, ჩემი წინა კონტაქტები რუს დიპლომატებთან სწორედ ასეთი იყო. მე ვამბობდი: „მითხარით, რა გინდათ, და ჩვენ ამას განვიხილავთ“. მე მიპასუხებდნენ: „თქვენ თავად იცით“. აი, ასეთი პასუხები გაისმოდა ძალიან ხშირად. და ჩვენ ვფიქრობდით, რომ ისინი არასერიოზულად ეკიდებიან საქართველოს. გვესმის, რომ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ორივე მხრიდან ძალიან ბევრი შეცდომა იყო დაშვებული, არ იყო დიალოგი, მაგრამ, თუ კვლავაც ასე იქნება, ჩვენ წინ ვერ წავიწევით. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მხრიდან, და მე შემიძლია ეს ოფიციალურად ვთქვა, არის პოლიტიკური ნება — სერიოზულად მივუდგეთ ჩვენს ურთიერთობებს და გამოვიდეთ ჩიხური სიტუაციიდან. მაგრამ რომ იცეკვო ტანგო, საჭიროა რუსეთსაც სურდეს ტანგოს ცეკვა. ასე რომ, ვნახოთ.

— რა შეიძლება იყოს რუსეთისთვის ხელსაყრელი ურთიერთობათა განვითარებაში, თუ საქართველო დატოვებს თავის ევროატლანტიკურ ვექტორს?

— რუსეთს თავად სურს ევროპაში ინტეგრირება, მე ვიცი, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკება, დიდი იმედები მაქვს, რომ რუსეთიც გახდება ოდესღაც ევროპული ოჯახის ნაწილი. და თუ ორივე მხარეს სურს, გახდეს ევროპის ნაწილი ოდესმე, სტრატეგიული თვალსაზრისით, ჩვენ აღარ უნდა გვქონდეს აზრთა სხვადასხვაობა.

— რატომ აქვს საქართველოს ასეთი ურყევი პოზიცია ნატოში ინტეგრაციასთან დაკავშირებით? ხომ არსებობს მოლდოვის მაგალითი, რომელმაც ნეიტრალიტეტი არჩია?

— მთავარი, რაც ჩვენს რუს პარტნიორებს არ ესმით, ეს არის ის, რომ ინტეგრაცია ნატოში — ეს ხალხის გადაწყვეტილებაა. აქ იყო რეფერენდუმი, რომელმაც გამოავლინა: საქართველოს მოქალაქეთა 75 პროცენტს სურს, რომ საქართველო გახდეს ევროატლანტიკური თანამეგობრობის ნაწილი. ისტორიულადაც ჩვენ ყოველთვის გვინდოდა გავმხდარიყავით ევროპის ნაწილი. ეს ჩვენი ხალხის გადაწყვეტილებაა, და ეს ისტორიული ლოგიკაა. მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენ გვესმის, რომ თუ რეგიონალურ მასშტაბში ჩვენ ვერ მოვაწესრიგებთ ჩვენს ურთიერთობებს მეზობლებთან, ეს იქნება პრობლემა: არავის სურს, რომ საქართველომ მოახდინოს პრობლემების იმპორტირება ევროპაში.

— როგორ უყურებთ იმას, რომ რუსეთის მხარე წინასწარი პირობის სახით დიალოგის დაწყებისთვის სთავაზობს საქართველოს, აღიაროს აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი?

— ამის განხილვაც კი არასერიოზულია. ამიტომ ჩვენ ვამბობთ: მოდით, დავიწყოთ მოლაპარაკება წინასწარი პირობების გარეშე.

— მიაჩნიათ, რომ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის კონფლიქტური ტერიტორიების არსებობა ხელს შეუშლის საქართველოს შევიდეს ნატოში. ნატოში ხომ უნდა შეხვიდე უსათუოდ მათთან ერთად, თუ შეიძლება უმათოდაც?

— ეს არის პრობლემა, რომელიც არა მხოლოდ ხელს გვიშლის ნატოსა და ევროკავშირში შესვლაზე, ეს ხელს გვიშლის სახელმწიფოებრიობის აღდგენაშიც. ეს ყველაზე დიდი ეროვნული პრობლემაა, რაც დღეს გვაქვს. მაგრამ ჩვენ დავიწყეთ კონკრეტული რეფორმები ქვეყნის შიგნით, რომლებსაც ვუჩვენებთ აფხაზებსაც და ოსებსაც, რომ შეიძლება იცხოვრო ქართველებთან ერთად ერთ ქვეყანაში. დარწმუნებული ვარ, რომ — იყო საქართველოს ნაწილი და ევროპის ნაწილი — უფრო ხელსაყრელია, ვიდრე გქონდეს სტატუს-კვო, რაც მათ ახლა აქვთ. რაც შეეხება აღიარების პოლიტიკას რუსეთის მხრიდან, ყველამ იცის, რომ მოსკოვის ეს წამოწყება არ გამოვიდა.

— რა თვალსაზრისით? თქვენ მხედველობაში გაქვთ, რომ მათი აღიარება შეჩერდა?

— დიახ, მათ აღარავინ აღიარებს...

Коммерсантъ

დედამიწის ზურგზე

ალმოაჩინეს ჯუჯა ვეშაპი, რომელიც მეცნიერებს 2 მილიონი წლის განმავლობაში ემალებოდა

ჯუჯა ვეშაპი ადამიანებს ზღვაში სულ რამდენჯერმე ჰყავთ ნანახი, ამიტომ მეცნიერებისთვის პრაქტიკულად არაფერია ცნობილი მისი ცხოვრებისა და სოციალური სტრუქტურის შესახებ. ვეშაპი დიდი ხნის განმავლობაში გადაშენებულად ითვლებოდა, მაგრამ მისი შესწავლისთვის გაქვავებულიც პრაქტიკულად ვერ გამოიყენეს. ეს აღმოჩენა, ბოლოს და ბოლოს, დაგვეხმარება, ნათელი მოვფინოთ ვეშაპისებრთა ამ წარმომადგენლის განვითარებას.

* * *

კიბოთი დაავადებულმა მოზარდმა, რომელსაც სულ რამდენიმე თვის სიცოცხლე დარჩა, ვიდეოზე გამოსათხოვარი სიმღერა დატოვა

ზაკ ზობიეკის ისტორია დაიწყო ფეხშიტკივილიდან: ექიმთან მისვლის დროს ჭაბუკმა გაიგო, რომ მას ძვლის კიბოს იშვიათი ფორმა აქვს. მან მკურნალობის რამდენიმე კურსი გაიარა, მაგრამ, როდესაც მეტასტაზები აღმოჩნდა ფილტვებშიც, გამოჯანმრთელების იმედი თითქმის აღარ დარჩენილა. ჭაბუკს არ დაუკარგავს სიცოცხლისადმი სიყვარული, გადაწყვიტა ცხოვრება მიეძღვნა მუსიკისთვის და ჩაწერა ლირიკული სიმღერა.

* * *

ბენგაზში აშშ-ის ელჩის დაღუპვაზე პასუხისმგებლობა საელმწიფო დეპარტამენტს დააკისრეს

ამერიკის დიპლომატიური მისიის განადგურება და მისი ოთხი თანამშრომლის, მათ შორის ელჩის, დაღუპვა გახდა სახელმწიფო დეპარტამენტის ცენტრალურ აპარატში „სისტემატური ჩავარდნების“ შედეგი, აღიარა დამოუკიდებელმა კომისიამ. ამავე დროს, კომისიამ უარი განაცხადა, დაასახელოს ბრალდებულები.

* * *

გარდაცვლილი ამერიკელი პენსიონერის გარაჟში ნახეს განძი 7,5 მილიონი დოლარის ოდენობით

როგორც შემორჩენილი ქვითრებით შეიძლება დავასკვნათ, სულ ცოტა 60-იანი წლებიდან გარდაცვლილის ადრე გარდაცვლილი დედა ყოველთვიურად ყიდულობდა ამერიკულ, ავსტრიულ და მექსიკურ ოქროს მონეტებს. თავად პენსიონერის ანგარიშზე კი იყო სულ რაღაც 1,2 ათასი დოლარი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

ჩვენს გაზეთში მემკვიდრეობის სამართლებრივ საკითხებზე საუბრის დროს არაერთი მკითხველი გამოგვეხმაურა. ამჯერად, მათ უმრავლესობას აინტერესებს რა არის სამკვიდრო და როგორი წესით ხდება მისი გახსნა. ამიტომ, გაზეთის დღევანდელ ნომერში სწორედ აღნიშნულ საკითხზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას და მკითხველთა კონკრეტულ შეკითხვებსაც ვუპასუხებთ.

ქონება, რომელიც მემკვიდრეობით გადადის, სამკვიდროს წარმოადგენს. ამიტომ, მემკვიდრეობის სამართალში ყველაზე აუცილებელ კომპონენტად სწორედ სამკვიდრო ითვლება. იგი არის იმ უფლებამოვალეობათა ერთობლიობა, რომელიც მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ გადადის მემკვიდრეზე. თუ არ არის სამკვიდრო, არ იქნება მემკვიდრეობაც. უფრო კონკრეტულად, სამკვიდრო შეიცავს როგორც ქონებრივ უფლებებს, ანუ სამკვიდრო აქტივს, ისე მოვალეობებს, ანუ პასივს, რომლებიც მამკვიდრებელს გააჩნდა სიკვდილის მომენტისათვის. სამკვიდრო აქტივისა და პასივის ერთობლიობა სამკვიდრო ქონებას, ანუ სამკვიდროს მასას წარმოადგენს.

სამკვიდრო და სამკვიდროს გახსნა

კითხვა: რა თავისებურებებით ხასიათდება სამკვიდრო ქონების დადგენის ფარგლები?

ლევან საითიძე

პასუხი: სამკვიდრო ქონების ფარგლების დასადგენად მიზანშეწონილია რამდენიმე თავისებურების გათვალისწინება:

სამკვიდროში შედის მხოლოდ ის უფლება-მოვალეობები, რომელთა მატარებელი სიცოცხლეში იყო მამკვიდრებელი. თუ უფლება-მოვალეობა მამკვიდრებლის გარდაცვალების შედეგად წარმოიშვა, მათი მემკვიდრეობით გადასვლაზე ლაპარაკი არ შეიძლება. ასეთი უფლება-მოვალეობა მემკვიდრეობით არ გადადის, არამედ ახლად წარმოიშობა სულ სხვა საფუძვლებით, თანაც ამისთვის გარდაცვალებასთან ერთად საჭიროა სხვა იურიდიული ფაქტებიც;

ზოგიერთი უფლება-მოვალეობა არ შეიძლება მემკვიდრეობით გადავიდეს სხვა პირებზე თავისი ბუნების გამო, ან კანონი არ მიიჩნევს შესაძლებლად მათ გადასვლას მემკვიდრეზე;

მემკვიდრეობით შეიძლება გადავიდეს არა მარტო ქონებრივი, არამედ არაქონებრივი ხასიათის უფლება-მოვალეობებიც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამკვიდროში შედის მამკვიდრებლის სიცოცხლეში წარმოშობილი მისი კუთვნილი ქონებრივი უფლებები: საკუთრების უფლება, აღნაგობის უფლება, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე და სხვა. სამკვიდროში შედის ის ვალდებულებებიც, რომლებიც მამკვიდრებელს გააჩნდა და არ შეუსრულებია, მაგ., გაუსტუმრებელი ვალი და სხვა. სამკვიდროში, აგრეთვე, შედის მამკვიდრებლის წილი საერთო საკუთრებაში. კანონით მემკვიდრეობის დროს სამკვიდრო ქონება რეალურად უნდა არსებობდეს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი აუცილებლად სამკვიდრო აქტივის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი. შეიძლება მამკვიდრებელს ქონება საერთოდ არ გააჩნდა გარდაცვალების დროს და მხოლოდ ვალები დარჩა. ასეთ შემთხვევაში, სამკვიდრო მასა მაინც სახეზეა სამკვიდრო პასივის სახით.

* * *

კითხვა: შეუძლია თუ არა მამკვიდრებელს ანდერძში გაითვალისწინოს ისეთი ქონება, რომელიც მისი შედგენის დროს არ გააჩნდა და შემდგომ შეიძინა?

მაია გამცემლიძე

პასუხი: ანდერძით მემკვიდრეობის დროს მამკვიდრებელს შეუძლია ანდერძში გაითვალისწინოს ისეთი ქონება, რომელიც ანდერძის შედგენის დროს ჯერ კიდევ არ გააჩნდა, მაგრამ გარდაცვალებამდე შეიძლება შეიძინოს.

აღსანიშნავია, რომ ყველა სახის ქონებრივი უფლება-მოვალეობა მემკვიდრეობით ურთიერთობებში ერთნაირად არ მონაწილეობს, სამკვიდროში ზოგიერთი მათგანი საერთოდ არ შედის. უპირველეს ყოვლისა, მათ მიეკუთვნება პირადი ხასიათის ქონებრივი უფლება-მოვალეობები. ისინი მამკვიდრებლის პიროვნებასთან ისე ღრმად არიან დაკავშირებული, რომ სხვაზე მათი გადასვლა წარმოუდგენელიცაა. ასეთი უფლება-მოვალეობები მამკვიდრებელთან ერთად კვდება.

სამოქალაქო კოდექსის 1331-ე მუხლის მიხედვით, სამკვიდროში არ შედის და მემკვიდრეთა შორის არ გაიყოფა საგვარეულო წიგნები და ჩანაწერები, ოჯახური მატიანე, სულის მოსახსენიებელი და სხვა საკულტო საგნები.

* * *

კითხვა: შედის თუ არა სამკვიდროში ის უძრავი ქონება, რომლითაც მამკვიდრებელმა ანდერძის შედგენის შემდეგ გაზარდა ნაანდერძები?

ელიზბარ მჭედლიშვილი

პასუხი: სამკვიდროში არ შედის ისეთი უძრავი ქონება, რომლითაც მამკვიდრებელმა ანდერძის შედგენის შემდეგ გაზარდა ნაანდერძები. ამ შემთხვევაზე კანონი ყურადღებას იმიტომ ამახვილებს, რომ პრაქტიკაში სადავო ხდება იმ ქონების იურიდიული ბედი, რომელიც ნაანდერძებ ქონებას ახლავს და ფაქტობრივად მის გაგრძელებას წარმოადგენს.

მემკვიდრეობითი ურთიერთობების წარმოშობის საწყის ეტაპს სამკვიდროს გახსნა წარმოადგენს. იგი ისეთი იურიდიული ფაქტია, რომელთანაც დაკავშირებულია მამკვიდრებლის ქონებრივ უფლებამოსილებათა შეწყვეტა და სხვა პირებზე მათი გადასვლა. ასეთი ფაქტები შეიძლება სხვადასხვა იყოს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მხოლოდ ორ ფაქტს იცნობს. ესენია: პირის გარდაცვალება და სასამართლოს მიერ პირის გარდაცვლილად გამოცხადება.

პირის გარდაცვალება სამკვიდროს გახსნის ყველაზე გავრცელებულ და ლოგიკურ საფუძველს წარმოადგენს. სიკვდილის მომენტი განისაზღვრება იმ სამედიცინო-ბიოლოგიური მონაცემების ანალიზის საფუძველზე, რამაც გამოიწვია ადამიანის ორგანიზმის ფუნქციონირების სრული შეწყვეტა. თუ ადამიანის სიცოცხლისუნარიანობა დროებით შენარჩუნებულია სხვადასხვა ხელოვნური აპარატის გამოყენებით, სამკვიდრო გახსნილად არ ითვლება.

* * *

კითხვა: რა დრო ითვლება სამკვიდროს გახსნის დროდ?

ძეთევან მამაგეიშვილი

პასუხი: სამართლებრივი შედეგების მიხედვით პირის გარდაცვალებასთან გათანაბრებულია სასამართლოს მიერ პირის გარდაცვლილად გამოცხადება, აგრეთვე, პირის სიკვდილის ფაქტის დადგენა. თუმცა, პირის გარდაცვლილად გამოცხადება ობიექტური ჭეშმარიტების ამსახველად არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს, მაგრამ იგი მაინც სიკვდილის პრეზუმფციას ემყარება და სამართლებრივად უთანაბრდება გარდაცვალებას. ამდენად, სამკვიდროს გახსნის დროდ ითვლება მამკვიდრებლის გარდაცვალების ან პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღე.

თუ სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის მემკვიდრე ცოცხალია, მიიჩნევა, რომ ის უნდა იქნეს აღიარებული სამკვიდროს დამტოვებლის უფლებამონაცვლედ. მაგრამ პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა ურთიერთმემკვიდრეები, მაგალითად, მეუღლეები, მშობლები და შვილები ერთდროულად იღუპებიან ექსტრემალურ სიტუაციაში — სატრანსპორტო ან ეკოლოგიური კატასტროფის დროს. შესაძლებელია, მათი გარდაცვალება ერთსა და იმავე მიზეზთან არც იყოს დაკავშირებული. ასეთ შემთხვევებში, მათ შორის მემკვიდრეობითი ურთიერთობები არ წარმოიშობა და სამკვიდრო გაიხსნება თითოეულის შემდეგ დამოუკიდებლად.

გარკვეული სპეციფიკურობით ხასიათდება სამკვიდროს გახსნა კომლში. კომლის თითოეულ წევრს შეიძლება ჰქონდეს ინდივიდუალური საკუთრება, რომელიც გამიჯნულია კომლის საერთო საკუთრებისაგან. კომლის ბოლო წევრის გარდაცვალება ედება საფუძვლად კომლში სამკვიდროს გახსნას. კომლის საკუთრება მემკვიდრეობით გადადის სამკვიდროს დამტოვებლის უფლებამონაცვლეებზე საერთო წესის მიხედვით, ასევე, კომლის ბოლო წევრს შეუძლია ანდერძით გადასცეს ქონება სხვას.

დიდი სამართლებრივი მნიშვნელობა გააჩნია სამკვიდროს გახსნის ადგილის განსაზღვრას.

* * *

კითხვა: მოქმედი კანონის თანახმად, რომელი ადგილი ითვლება სამკვიდროს გახსნის ადგილად?

დავით თვალჭრელიძე

პასუხი: სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილია, რომ სამკვიდროს გახსნის ადგილად ითვლება მამკვიდრებლის საცხოვრებელი ადგილი, ხოლო თუ იგი ცნობილი არ არის, მაშინ სამკვიდრო ქონების ადგილსამყოფელი.

კითხვებით მოგვმართეთ ტელეფონის ნომერზე: 593 35 99 09.

განცხადება აუქციონის შესახებ

2012 წლის 28 დეკემბერს, 11.00 საათზე, მისამართზე: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7, II სართული, საგამოფენო დარბაზში, ჩატარდება აუქციონი, რომელზეც მოხდება დავით ქავთარაძის (პ/ნ 21001010632) და მაია ბუქურის (პ/ნ 01017002384) საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთების რეალიზაცია:

გასაყიდად გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

- დავით ქავთარაძის (პ/ნ 21001010632) საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი — მდებარე: ქ.თბილისი, ზაჰესის დასახლების ტერიტორია, ნაკვეთის ფუნქცია: სასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 800.00 კვ.მ., ნაკვეთის წინა ნომერი: 72.12.00.179, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 72.12.01.115;

  უძრავი ნივთის საწყისი ფასია: 4,000 (ოთხი ათასი აშშ დოლარი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში;
- დავით ქავთარაძის (პ/ნ 21001010632) საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი — მდებარე: ქ.ბორჯომი, დაბა ბაკურიანი, ყოფილი „მიონი“-ს მიმდებარედ, ნაკვეთის ფუნქცია: სასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 578.00 კვ.მ., მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 64.10.02.095;

  უძრავი ნივთის საწყისი ფასია: 3,550 (სამი ათას ხუთას ორმოცდაათი აშშ დოლარი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში;
- დავით ქავთარაძის (პ/ნ 21001010632) საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი — მდებარე: რაიონი ბორჯომი, დაბა ბაკურიანი „კოხტის ძირი“, ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 2000.00 კვ.მ., შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: შენობა-ნაგებობა 93.8 კვმ., მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 64.10.08.070;

  უძრავი ნივთის საწყისი ფასია: 36,833 (ოცდათექვსმეტი ათას რვაას ოცდაცამეტი აშშ დოლარი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.
- მაია ბუქურის (პ/ნ 01017002384) საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი — მდებარე: ქ.თბილისი, ზაჰესის დასახლების ტერიტორია, ნაკვეთის ფუნქცია: სასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 590.00, ნაკვეთის წინა ნომერი: 72.12.00.659, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 72.12.01.084;

  უძრავი ნივთის საწყისი ფასია: 2,950 (ორი ათას ცხრაას ორმოცდაათი აშშ დოლარი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.
- მაია ბუქურის (პ/ნ 01017002384) საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი — მდებარე: მცხეთა, ავჭალის ტერიტორია, ნაკვეთის ფუნქცია: სასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 412.00, ნაკვეთის წინა ნომერი: 72.12.00.919, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 72.12.01.107;

  უძრავი ნივთის საწყისი ფასია: 2,060 (ორი ათას სამოცი აშშ დოლარი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.
- მაია ბუქურის (პ/ნ 01017002384) საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი — მდებარე: ქ.თბილისი, დასახლება ზაჰესი, ნაკვეთის ფუნქცია: სასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 560.00, ნაკვეთის წინა ნომერი: 72.12.00.664 მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 72.12.01.083;

  უძრავი ნივთის საწყისი ფასია: 2,800 (ორი ათას რვაასი აშშ დოლარი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.

ქონება აუქციონზე გადის ერთ ლოტად საწყისი ფასით: 52,193 (ორმოცდათორმეტი ათას ას ოთხმოცდაცამეტი აშშ დოლარი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.

ყველა, ვისაც უფლებები აქვს აუქციონზე გასაყიდ ნივთ(ებ)ზე, ვალდებულია, ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარადგინოს აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილის მიერ თანხის სრულად დაფარვას აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში; საბანკო გარანტიის ოდენობა უნდა შეადგენდეს უძრავი ნივთის საწყისი ფასის ერთ მეათედს; საბანკო გარანტიის პირველად ბენეფიციარად დასახელებული უნდა იყოს კრედიტორი — სს „თიბისი ბანკი“.

აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება ის, ვინც ვაჭრობაზე დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებული იქნება გადასახდელი თანხა ერთი კვირის განმავლობაში შეიტანოს ან ჩარიცხოს სს „თიბისი ბანკში“ შემდეგ ანგარიშზე **GE30 TB11 0045 0113 0055 55**, რის შემდეგაც ის გახდება აუქციონზე შეძენილი ნივთის მესაკუთრე.

საჯარო შეტყობინება აუქციონის შესახებ შპს „ფენიქსს“, დავით ქავთარაძეს, მაია ბუქურს

ეცნობოს შპს „ფენიქსს“, მაია ბუქურს, დავით ქავთარაძეს, რომ ზემოაღნიშნული ინფორმაცია, აუცქიონის შესახებ, ითვლება მათთვის საჯარო შეტყობინებად. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უწყება (შეტყობინება) მხარეებისათვის ჩაბარებულად ითვლება მისი გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

სპეციალისტი სს „თიბისი ბანკი“
მისამართი: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ფრენბურთი

ირაკლი ჩაჩუა უხელმძღვანელებს

საქართველოს ფრენბურთის ფედერაციას 11 წლის განმავლობაში ლევან ახვლედიანი ედგა სათავეში. ამ ხნის განმავლობაში სპორტის ამ საყვარელ სახეობას დეგრადაციის მეტი არაფერი განუცდია. ამიტომ ხელმძღვანელობაში ახალი სისხლი გახდა საჭირო. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სააქტო დარბაზში ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა გაიმართა. პრეზიდენტობაზე კენჭს იყრიდნენ ირაკლი ჩაჩუა და საქართველოს ქალთა ნაკრების ყოფილი კაპიტანი და შემდეგ მწვრთნელი ნინო მღებრიშვილი. არჩევნებში ხმის უფლების მქონე 32 დელეგატი მონაწილეობდა. ფარული კენჭისყრით 17-მა მათგანმა ხმა ჩაჩუას მისცა, 15-მა – მღებრიშვილს დაუჭირა მხარი. ამდენად, ფრენბურთის ფედერაციას მომდევნო ოთხი წლით ირაკლი ჩაჩუა უთავკაცებს.

◎ კარატე-დო

კვარცხლბეკზე სამჯერ ავიდა

თურქულ ტრაბზონში მსოფლოს თასი გათამაშდა შერეულ საბრძოლო ხელოვნებაში. მთავარი პრიზის მოსაპოვებლად 11 ქვეყნის 800-მდე წარმომადგენელი იბრძოდა. ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას გოჯურიუ კარატე-დოს ასოციაციის (პრეზიდენტი მერაბ ტურაშვილი) ნაკრების 4 წევრი იცავდა. ჩვენმა სპორტსმენებმა 2 ოქროს, 3 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. განსაკუთრებით 10-11-წლიანებში დავით ლაფაჩიშვილმა იყოჩაღა - მან თითო ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. რვა-ცხრაწლიანებში ორჯერ ავიდა კვარცხლბეკზე დანი ჯანაშვილი – ოქრო-ვერცხლი ერგო, 16-17-წლიანებში მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმო კუმიტეში რატი ჩახმახაშვილმა, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო სემი ჯანაშვილს (12-13 წ.) მესამე ადგილი ხვდა.

ლაშა დიდია

◎ ძიუდო

„არენაში“ საარაკო ბრძოლებით

ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობასთან დაკავშირებული აჟიოტაჟის გამო რამდენჯერმე გადადებული ძიუდოისტთა ეროვნული ჩემპიონატი, როგორც იქნა, სპორტკომპლექს „არენას“ ესტუმრა. ტრავმირებული ოლიმპიური ჩემპიონის – ლაშა შავდათუაშვილისა და ბეთქილ შუკვანის გარდა, შეჯიბრებაში ყველა უძლიერესი ფალავანი მონაწილეობდა. განსაკუთრებით საინტერესო პაექრობები გაიმართა 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში. ახალგაზრდების წლეულანდელი ევროპის პირველობის ფინალისტმა ვაჟა მარგველაშვილმა ხუთი ფავორიტი ჩამოიშორა გზიდან - ზედიზედ სძლია ბექა შავდათუაშვილს, ანზორ ნასარიძეს, გიორგი მესაბლიშვილს, პაატა მერებაშვილს, ამირან პაპინაშვილს და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

მარგველაშვილს კარგად აუბა მხარი თანაგუნდელმა ტრისტან ფეიქრიშვილმა (66 კგ). ამ წონაში სტარტზევე დამარცხდნენ ფავორიტები – შალვა ქარდავა და სანდრო იაკობაშვილი. ფეიქრიშვილმა ოთხ მეტოქეს აჯობა, ფინალში კი შარშანდელი ეროვნული ჩემპიონატის ფინალისტი მინდია ლილუაშვილი დაჯაბნა და ოქროს მედალი დაიმსახურა.

73 კილოში პირველ ნომრად განთესილმა ნუგზარ ტატალაშვილმა იმარჯვა, რომელმაც ფინალში იმერეთის გუნდის წევრ არსენა მაჭარაშვილს წმინდად მოუგო. ჯერ ბესო ხამათაშვილს, ზვიად კაპანაძეს, მიხეილ ჩოხელსა და ფრიდონ გიგანს სძლია, გადამწყვეტ პაექრობაში კი არსენა მაჭარაშვილს აჯობა იპონით და პირველი ადგილიც დაიკავა.

კვარცხლბეკი

60 კგ.

1. ვაჟა მარგველაშვილი (შიდა ქართლი), 2. ამირან პაპინაშვილი (აჭარა), 3. გიორგი ბროლაშვილი (მცხეთა) და პაატა მერებაშვილი (შიდა ქართლი).

66 კგ.

1. ტრისტან ფეიქრიშვილი (შიდა ქართლი), 2. მინდია ლილუაშვილი (იმერეთი), 3. ვანო თოთლაძე (შიდა ქართლი) და თორნიკე თათარაშვილი (მცხეთა).

73 კგ.

1. ნუგზარ ტატალაშვილი (შიდა ქართლი), 2. არსენ მაჭარაშვილი (იმერეთი), 3. ზებედა რეხვიაშვილი (ქვემო ქართლი) და გიორგი პაპუნაშვილი (შიდა ქართლი).

ლექსო ცინცაძე

◎ კრივი

მოვერცხლილი „ოლიმპიური იმედი“

კალინინგრადში 19-22 წლის მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატში, სახელწოდებით „ოლიმპიური იმედი“, საქართველოს 9 წარმომადგენელი მონაწილეობდა. რვა მათგანი ადრევე ჩამოშორდა რინგს, სამაგიეროდ, 69 კილოში 2011 წლის ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა ზაალ კვაჭატაძემ რამდენი მეტოქეს სძლია, მათ შორის – მეოთხედფინალში ბულგარელ სიმეონ ჩანოვს, ნახევარფინალში ბელარუს პაველ კოსტრომინს აჯობა და ფინალში რუს არტიომ ზელენკოვსკის დაუპირისპირდა. დაძაბული პაექრობა 2 ქულით წააგო და ვერცხლის მედალს დაყაბულდა.

◎ ფეხბურთი

საქართველო 73-ე ადგილზეა

გამოძვეძნდა „ფიფა-კოკა კოლას“ ახალი რეიტინგი და საქართველოს ნაკრებმა 8 საფეხურით უკან დაიწია - 65-ეზე იყო და ახლა 73-ე ადგილზეა. საქართველოს 481 ქულა აქვს. ევროპის 53 ნაკრებს შორის, ქართველები 33-ე საფეხურზე არიან.

საქართველოზე ერთი ადგილით წინაა შოტლანდია, ხოლო 74-ე და 75-ე პოზიციაზე, შესაბამისად, მაროკო და სომხეთი დგანან.

რაც შეეხება „ზედა ინსტანციას“, ესპანეთი ისევ დამაჯერებლად ლიდერობს. მე-5 ადგილზეა კოლუმბია, რაც ამ ქვეყნის ისტორიაში სარეკორდოა. არც ის მომხდარა, რომ ბრაზილია ასე დაბლა ყოფილიყოს. „პენტაკამპეონები“ მე-18 საფეხურზე ჩამოქვეითდნენ.

1 (1). ესპანეთი – 1606
2 (2). გერმანია – 1437
3 (3). არგენტინა – 1290
4 (5). იტალია – 1165
5 (8). კოლუმბია – 1164
6 (6). ინგლისი – 1151
7 (4). პორტუგალია – 1144
8 (7). ჰოლანდია – 1124
9 (9). რუსეთი – 1070
10 (10). ხორვატია – 1064
17 (18). საფრანგეთი – 949

შარშან საქართველოს ნაკრები 76-ე ადგილზე იყო.

◎ თავისუფალი ჭიდაობა

ჭაბუკებმა მკლავის ძალა დიღომში მოსინჯეს

ოლიმპიური ჩემპიონის – შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიის დარბაზში 1997-1999 წლებში დაბადებულ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა თბილისის პირველობა გაიმართა. დედაქალაქის ჭიდაობის ფედერაცია (პრეზიდენტი ავთანდილ მენაბდე) ყველაფერს აკეთებს მოზარდთა დასაოსტატებლად. რამდენიმე დღის წინ ამ დარბაზში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა იასპარეზეს, ამჯერად კი სარბიელი, როგორც აღვნიშნეთ, ძთავისუფლებს“ დაეთმოთ. ორდღიანი დაძაბული პაექრობების შემდეგ გამოვლინდნენ გამარჯვებულები და პრიზიორები. გაუწყებთ მათს ვინაობას:

38 კგ. 1). ლაშა ზუხბაია (წყნეთი); 2). გიორგი ღონიაშვილი (ვარკეთილი); 3). ნიკა მათიაშვილი (წყნეთი), გიორგი ჩოჩორაძე (გლდანი).

42 კგ. 1). ვასილ მამულაშვილი (მართვე); 2). ბაჩუკი არველაძე (ოლიმპიური მზადების ცენტრი); 3). დავით ფიცხელაური (მართვე), თორნიკე ქობელაშვილი (დიღომი).

46 კგ. 1). გოგა მამიაური (ომც); 2). გიორგი ღვინიანიძე (დიღომი); 3). გიორგი გიორხელიძე (მართვე), ლევან აფრიამაშვილი (ვარკეთილი).

50 კგ. 1). გიორგი სამაკაშვილი (მართვე); 2). ბექა გიგაშვილი (ომც); 3). ალექსანდრე ელიაშვილი (გლდანი), რატი კილანავა (წყნეთი).

54 კგ. 1). გიორგი გოგოლაური (ფალავანთა კლუბი); 2). მალხაზ ლევანიშვილი (გლდანი); 3). ანზორ ფირუზაშვილი (დიღომი), ზაზა შანიძე (ომც).

58 კგ. 1). მამუკა ჩაჩუა (გლდანი); 2). ალექსი ბეიტრიშვილი (ვარკეთილი); 3). გიორგი ჯაოშვილი (მართვე), გიორგი ბელაშვილი (დიღომი).

63 კგ. 1). სტეფანე ტატალაშვილი (ომც); 2). ირაკლი ავსაჯანიშვილი; 3). ოთარ გაბელია (ორივე – ხაბელოვის კლუბი), ირაკლი კუპრეიშვილი (დიღომი).

69 კგ. 1). თორნიკე კიკნაძე (ხაბ/კლ); 2). დავით გერმანოზაშვილი (მართვე); 3). ბათუ შამათავა (გლდანი), რუსლან ბიგვავა (ომც).

76 კგ. 1). ზაურ ბერაძე (ომც); 2). ლაშა ხუბაშვილი (ხაბ/კლ); 3). დავით ფირუზაშვილი (დიღომი), ნიკა ჯაოშვილი (მართვე).

85 კგ. 1). კონსტანტინე გაბაშვილი; 2). დავით ხორხომელიძე (ორივე – გლდანი); 3). არმაზ ღორღომელიძე (დიღომი), დავით ბათირაშვილი (მართვე).

100 კგ. 1). ნიკოლოზ შავლოხაშვილი (მართვე); 2). გიორგი შამათავა; 3). ნიკა ანთიძე (ორივე – გლდანი).

გივი გაგუა

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ვინც თავი გასწირა...

აგვისტოს ძმეები

დეკემბრის ცივი, სუსხიანი დღეა. ქართული ეკლესია წმინდა ანდრია პირველწოდებულისა და წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის ხსენების დღეს ერთად ზეიმობს. ვახტანგ გორგასალმა მიაღწია სწორედ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიას. ოთხი წელია, ვარკეთილში, 2008 წლის აგვისტოს ომში გმირულად დაღუპული ბიჭების უკვდავსაყოფად შენდება ვახტანგ გორგასლის სახელობის ეკლესია, რომელიც გარედან თითქმის დასრულებულია, ამბიონიც გაკეთებულია, ინტერესს მხოლოდ შელესვა აკლია...

დასრულებულია, ამბიონიც გაკეთებულია, ინტერიერს მხოლოდ შელესვა აკლია...

ქალბატონ მარინა გზირიშვილს, რომელსაც ქმარ-შვილი აფხაზეთისა და ცხინვალის ომებში გმირულად დაეღუპა, უფალმა მისცა ძალა, ტკივილიდან წამომდგარიყო და სათავეში ჩადგომოდა ამ მშენებლობას. უამრავი მრევლი ესწრება პანაშვიდს, რომელსაც მეუფე შიო იხდის, „აგვისტოს ძმების“ სახელთა უკვდავსაყოფად. აქვე არიან მამა იაკობი (უშიკიშვილი), მამა გიორგი, სამხედრო მოძღვარი მამა იაკობი, მამა დავითი (ლონდარიძე)...

მრევლში დგანან შაოსანი დედები, რომელთა ვაჟებიც, იშვიათი გამონაკლისის გარდა, უშვილძიროდ გადაეგნენ, მაგრამ თავისი სახელი ოქროს ასოებით ჩაწერეს საქართველოს ისტორიაში. ზაურ თენეიშვილის დედას — ქალბატონ ნუნუს, სერგო მელიას მამას — ბატონ თამაზს, სერგი გოროზიას დედას — მზია კვირკველიას, კახაბერ თავგოსაშვილის დედას — ნუნუს, ზურაბ ბეგაშვილის დედას — ქალბატონ ნელის და იმ უამრავ გულდათუთქულ ქართველ ქალს, ვისი აღზრდილი შვილებიც ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას შეეწირნენ, ვინღა გაუმრთელებს გულს, მაგრამ საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია თანაგრძნობით და გულისხმიერებით მიმართავს გმირთა ოჯახებს: — გმირებს ყველაზე დიდ სამსახურს იმით გავუწევთ, რომ მათი ოჯახები იყვნენ უზრუნველყოფილნი, მათმა შვილებმა კარგი განათლება მიიღონ, სახელმწიფომ კი სოციალური პაკეტით, პირველ რიგში ეს ადამიანები უნდა უზრუნველყოს.

აგვისტოს ომში დაღუპულთა სულების მოსახსენიებელ პანაშვიდს ირაკლი ალასანიასთან ერთად ესწრებოდნენ თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის უფროსი ირაკლი ძნელაძე, შტაბის უფროსის მოადგილეები: ლაშა ბერიძე და ვახტანგ კაპანაძე, გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციის დეპარტამენტის უფროსი ზურაბ ასლამაზაშვილი და სხვა სამხედრო პირნი, ჯარისკაცები...

ეროვნულ სიამაყედ და, ამავდროულად, გაუნელებელ ტკივილად იქცნენ რჩეულ ვაჟაცთა საფიცარი გვარ-სახელები...

ლია ჭიღლაძე

◎ ისტორიის საიდუმლოებანი

ატომურ ბომბზე უფრო მძლავრი

ზუსტად 70 წლის წინათ, 1942 წლის მიწურულს, მესამე რაიხის შეიარაღებათა მინისტრმა ალბერტ შპეერმა სენსაციური განცხადება გააკეთა: „ჩვენ გამარჯვების ზღურბლზე ვართ. ბოლშევიკების წინააღმდეგ ომს „ვუნდერვაფეს“ — სასწაული იარაღის — დახმარებით მოვიგებთ“. მაგრამ რა იყო ეს უნიკალური იარაღი — ბლეფი თუ რეალური რამ, დღემდე უცნობია.

მოგვიანებით ჰებელსის პროპაგანდის სამინისტრომ არაერთხელ განაცხადა, რომ „ვუნდერვაფეს“ დღე-დღეზე გამოიყენებენ, 1945 წლის 29 აპრილს კი ბერლინის რადიომ ცნობა გადასცა, რომ სასწაული იარაღი რამდენიმე საათში რაიხის მტრებს გააცამტვერებდა, მისი გამოყენების სანქცია კი თავად ადოლფ ჰიტლერმა გასცაო. თუმცა, 30 აპრილს ჰიტლერმა თავი მოიკლა, ისტორიკოსები კი დღემდე ბჭობენ — მართლა ამუშავებდა თუ არა გერმანია იმდენად მძლავრ იარაღს, რომ მას ომის მსვლელობის შემოტრიალება შეეძლო თუ ეს დოქტორ ჰებელსის მორიგი პროპაგანდისტული ხრიკი იყო?

ჩეხეთის სახელმწიფო არქივის ყოფილი თანამშრომლის ალოიზ ვოდიჩკას აზრით, „ვუდერვაფეს“ შექმნის ამბავი მითი სულაც არ არის. 1944 წლის 4 მარტს გერმანელებმა ჩეხოსლოვაკიის ქალაქებში პლაზენსა და ბრნოში მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობა დაიწყეს. სამუშაოებს სს-ის 43 წლის გრუპენდფიურერის ჰანს კამლერის საკონსტრუქტორო ბიურო აწარმოებდა, რომელიც „სასწაული იარაღის“ შექმნაზე პასუხისმგებელი იყო. **დაახლოებით 10 თვეში „შკოდას“ ქარხნის ქვეშ დიდ სიღრმეზე უზარმაზარი კვლევითი კომპლექსი, მეცნიერებისთვის გვირაბები, მფრინავი ობიექტებისთვის გამშვები შახტები და ამ ახალი იარაღის გამოსაცდელი პოლიგონებიც კი ააგეს, ომის დამთავრებამდე 33 დღით ადრე კი პლზენის დამკავებელმა ამერიკელებმა რეკორდულ ვადაში გაყვანილი 35 კილომეტრი მიწისქვეშა კომუნიკაციები დაითვალეს!**

1945 წლის 15 ოქტომბერს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბში დაზვერვის მიერ გაგზავნილ მოხსენებაში, კერძოდ, ნათქვამი იყო: **„ჩეხოსლოვაკიაში, ავსტრიასა და უნგრეთში მიწის ქვეშ 107 ქარხანა, ანუ იმაზე გაცილებით მეტი აღმოვაჩინეთ, ვიდრე გვეგონა. მათგან ნახევარზე მეტი ჩვენთვის უცნობი შეიარაღების შექმნაზე მუშაობდა“.**

საკონსტრუქტორო ბიუროს პლაზენში სს-ის სპეცდანიშნულების რაზმის სამმაგი დაცვა ჰქონდა, მიწისქვეშეთში კი, ზედაპირზე ამოუსვლელად, ევროპის საუკეთესო მეცნიერები მუშაობდნენ. ბევრი მათგანი იქ ძალით მიიყვანეს და ომის შემდეგ ისინი უკვალოდ გაქრნენ, მათ გვამებსაც ვერ მიაგნეს. 1945 წლის 3 აპრილის ჰიტლერის საგანგებო ბრძანებით, ჰანს კამლერს გერმანიის ყველა გასაიდუმლოებული პროექტის ხელმძღვანელობა გადაეცა. იმავე დღეს ჰებელსი თავის დღიურში ჩაწერს: **„ჰანსი ახლოსაა ძალიან მნიშვნელოვან აღმოჩენასთან. მისი სამუშაო გამაოგნებელია!“**

— ომის დასრულებამდე ერთი კვირით ადრე ჰანს კამლერი მესამე რაიხში ჰიტლერის შემდეგ მეორე პირი გახდა, — აცხადებს პოლონელი ისტორიკოსი იგორ ვიტკოვსკი, რომელიც ბოლო 15 წელია „ვუნდერვაფეს“ ამბავს იკვლევს. — 1945 წლის გაზაფხულზე იგი ერთი შეხედვით სრულიად უმიზეზოდ, უცბად უამრავი ტიტულითა და ჯილდოთი „დასაჩუქრდა“, სს-ი ობერგრუნფიურერის წოდებაც მიენიჭა. ამ მოწყალების მიზეზი მხოლოდ ერთი შეიძლება ყოფილიყო: **კამლერმა წარმატებას მიაღწია ისეთი იარაღის შექმნაში, რომელსაც მესამე რაიხის გადარჩენა შეეძლო.** ჰიტლერის ყველა გადარჩენილი თანამებრძოლი თავის მემუარებში ერთსა და იმავეს აღნიშნავს — **ფიურერი სავსებით დარწმუნებული იყო, რომ უმოკლეს დროში „ვუნდერვაფე“ ჯარის შეიარაღებაში იქნებოდა და რაიხის მტრებს მტვრად გადააქცევდა.** არსებობს ვერსია, რომლის თანახმად „ვუნდერვაფეს“ ბოლომდე დასამუშავებლად კამლერს მხოლოდ ერთი თვე არ ეყო!

1945 წლის 6 მაისს ჰანს კამლერი მოულოდნელად პრაღაში ჩადის და მიწისქვეშა ქარხნების მუშაობის თაობაზე ბოლო განკარგულებას იძლევა, თან ყველაფერი ისე მშვიდად კეთდება, თითქოს ქვეყანაზე არც არაფერი ხდება. იგი არანაირ განმარტებას არ აძლევს „შკოდის“ თანამშრომლებს, რომლებსაც ვერაფრით გაუგიათ, თუ რა საჭიროა „ვუნდერვაფეს“ შექმნაზე მუშაობის გაგრძელება, თუკი საბჭოთა არმიას ბერლინი უკვე აღებული აქვს? **საიდუმლო დოკუმენტები (ნახაზები, გეგმები, გამოკვლევათა შედეგები) სასწრაფოდ პლზენში გადაზიდეს, თავად ჰანს კამლერი კი... უკვალოდ გაქრა. მას შემდეგ ფიურერის საყვარელი გენერალი არც ცოცხალი, არც მკვდარი არავის უნახავს.**

კამლერის გაქრობის სამი ვერსია არსებობს. პირველის თანახმად, მან 9 მაისს პლზენის ტყეში თავი მოიკლა. მაგრამ იმავე დღეს ქალაქ ობერამერგაუს სასტუმროში იგი რაკეტების კონსტრუქტორმა ვერნერ ფონ ბრაუნმა ნახა, რომელმაც მოგვიანებით დაკითხვებზე განაცხადა, რომ კამლერს მუნდირის დაწვა და ადგილობრივი მონსტრის სარდაფში დამალვა უნდოდა. მეორე ვერსიით, სს-ის სპეცპროექტის ხელმძღვანელი ბუნკერში დაიღუპა პარტიზანების შეტევის დროს. ყველაზე სუსტია მესამე ვერსია, რომლის მიხედვით „პირთა ჯგუფი“ მის დაკრძალვას დაესწრო“. **არსებითად კი, სს-ის დაკარგული მაღალჩინოსნის ძებნა არც არავის უცდია, ამის თაობაზე არც ამერიკელები, არც საბჭოელები კრინტს არ ძრავდნენ. იმის მიუხედავად, რომ ჰანს კამლერი ნაცისტების უმნიშვნელოვანეს პროექტებს ხელმძღვანელობდა და პირადად მხოლოდ ჰიტლერს ემორჩილებოდა, მისი სახელი ნიურნბერგის პროცესზეც კი არ უხსენებიათ.** რაიხსკანცლერის ხელმძღვანელ ბორმანსა და გესტაპოს შეფ მიულერზე (რომლებიც, ასევე, უკვალოდ გაქრნენ), ძებნა გამოაცხადეს, „ვუნდერვაფეს“ შემქმნელი კი თითქოსდა საერთოდ არ არსებობდა. 1948 წლის 7 სექტემბერს ჰანს კამლერი ბერლინის სასამართლომ ოფიციალურად გარდაცვლილად გამოაცხადა.

— ეჭვი არ მეპარება, რომ „სასწაული იარაღის“ შემქმნელი გაიქცა, — ამტკიცებს იგორ ვიტკოვსკი. — ჩემი თვალით მაქვს ნანახი რუკა, რომელზეც ფანქრით ფრონტის გადაკვეთისთვის ყველაზე მოსახერხებელი ადგილები იყო აღნიშნული. საიდუმლოებებს, რომლებსაც ეს კაცი ფლობდა, მსოფლიოზე ბატონობის უზრუნველყოფა შეძლო, თავად ამერიკელებიც და რუსებიც კი სისხლხორცეულად იყვნენ დაინტერესებულნი, რომ „შკოდას“ ქარხნებიც და კამლერიც ხელში ჩაეგდოთ.

მკვლევარები გამოთქვამენ ვარაუდს, რომ **ჰანს კამლერი ატომურ ბომბზე უფრო ძლიერი იარაღის შექმნაზე მუშაობდა,** რომლითაც ჰიტლერს მთელი დედამიწის დაწვა შეეძლო...

ნინო ალექსანდრია

სურათზე: გრუპენფიურერი ჰანს კამლერი, 1945 წელი.

◎ შრომის კოდექსი

კანონი ჯერ ძალაში არ შესულა, დამსაქმებლები კი უკვე აპროტესტებენ

ნაციონალების მიერ მოწონებულ, დასაქმებულის მიმართ მონურ შრომით კოდექსს ახალი ხელისუფლება შეცვლას უპირებს. პირველ ეტაპზე იგეგმება შრომითი ხელშეკრულებების მოწესრიგება, კერძოდ, დამსაქმებელი ვალდებული იქნება, დასაქმებულს სამსახურიდან გაშვების შესახებ 30 დღით ადრე აცნობოს. პარლამენტში პროექტის განხილვა უკვე მიმდინარეობს. ის განსაზღვრავს შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტისა და მოშლის პროცედურას.

ახალი საკანონმდებლო ინიციატივით, შრომისუუნარობის დროს განისაზღვრება გონივრული ვადა. კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმება წახალისდება, ეფექტური გახდება თვით ამ დარგების კოლექტივებში განხილვის შესაძლებლობა.

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელთა განმარტებით, კანონპროექტის დაჩქარებული წესით ინიცირების მიზეზი ისაა, რომ ბოლო დროს სამსახურიდან დათხოვნებს მასობრივი ხასიათი მიეცა.

პროექტის მიხედვით, დროებით შრომისუუნარობა (ბიულეტენი) განისაზღვრება 60 დღით. აიკრძალება სადეკრეტო შვებულებაში მყოფის სამსახურიდან განთავისუფლება.

შრომით კოდექსში შესატან მოსალოდნელ ცვლილებებს უკვე მოჰყვა უარყოფითი შეფასებები დამსაქმებელთა მხრიდან. როგორც „კომერსანტ-გე“ — იმპორტიორი კომპანია „ალიანსის“ გენერალურმა დირექტორმა მამუკა ცაგარელმა განმარტა, ცვლილება სამსახურიდან თანამშრომლის გათავისუფლების გამკაცრების წესს გულისხმობს, რაც სერიოზულად გაართულებს ახალი თანამშრომლების დასაქმებას. ყოველივე კი მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს როგორც ბინესზე, ასევე, საერთოდ, ქვეყნის ეკონომიკაზე.

ბიზნესმენს მაგალითად მოჰყავს საფრანგეთი, სადაც სოციალურად ორიენტირებულმა შრომის კოდექსმა ქვეყნის ეკონომიკის შეფერხება გამოიწვია. ბიზნესის წარმომადგენლებს ერთი თანამშრომლის სამსახურიდან განთავისუფლება კომპენსაციებისა და სოციალური ვალდებულებების გამო, იმდენი უჯდებოდა, რამდენიც თავად ბიზნესის წამოწყება.

ცაგარელი აცხადებს, რომ კომპანიები მანქანა-დანადგარებით შეეცდებიან ადამიანთა ჩანაცვლებას, ან შეეცდებიან ფუნქციები არსებულ კონტინგენტზე გადაანაწილონ. შედეგად, კომპანიები ახალი თანამშრომლების აყვანას უდიდესი სიფრთხილით მოეკიდებიან, რითაც დასაქმება გართულდება. იმის გამო, რომ საქართველოში დღეს ბიზნესი ჩანასახობრივ მდგომარეობაშია, შეტანილი ცვლილებებით შესაძლოა არალეგალური დასაქმება მივიღოთ, — ამბობს ბიზნესის წარმომადგენელი.

ექსპერტები ხელისუფლების ამ ნაბიჯს დადებითად აფასებენ. ამავე დროს აღნიშნავენ, რომ მიღებულ სიახლეს ადაპტირება სჭირდება. არ უნდა იქნეს მიღებული ნაჩქარევი გადაწყვეტილებები. ამის გამო სპეციალისტებს ვინმეს მხრიდან მოთხოვნების წამოყენება ნაადრევად მიაჩნიათ.

ზაზა ბილიხოძე

◎ ინფორმაცია

ზუგდიდში გარემოვაჭრეებმა აქცია შეწყვიტეს

როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, აქციის მონაწილეებმა გადაკეტილი მთავარი მაგისტრალი მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც კახა მიქაიამ აცნობა, რომ დარეკა გამგეობაში და მიიღო დაპირება, რომლის მიხედვითაც, მათ გარევაჭრობის ნებართვა 1 იანვრამდე მისცეს.

მისი თქმით, გარემოვაჭრეებს 1 იანვრამდე გარევაჭრობის უფლება მხოლოდ იმ პირობით მისცეს, თუ ისინი 1 იანვრის შემდეგ ბაზრის შიდა ტერიტორიაზე გააგრძელებენ მუშაობას. ამაზე გარემოვაჭრეებმა თანხმობა განაცხადეს.

ინტერპრესნიუსი

ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრის გამგეობა და თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ დამსახურებული მეცნიერის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ

ლიანა დავლიანიძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ჩვენი კარაბადინი

გონიერთა სპორტი

ცურვა ბავშვებს უფრო გონიერს ხდის. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ინგლისელი მეცნიერები გრიფიტის საგანმანათლებლო კვლევის ინსტიტუტიდან. სპეციალისტები სამი წლის განმავლობაში თვალყურს ადევნებდნენ სამიდან ხუთ წლამდე 180 ბავშვს. აღმოჩნდა, რომ ის ბავშვები, რომლებიც ცხოვრების პირველ სამ წელიწადში ვარჯიშობდნენ ცურვაში, უფრო ადრე და იოლად ითვისებდნენ სხვა ჩვევებსაც: მათემატიკისა, მეტყველებისა, ვიზუალურ-მოტორულსაც (ხატვას, გაფერადებას, ხაზებისა და ფიგურების... გამოჭრას).

უნარი არ იყო დამოკიდებული ბავშვების სქესზე და მათი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკურ დონეზე — გავლენას ახდენდა მხოლოდ წყალში ვარჯიში.

გამოკითხვა

როგორ აკაჟებთ ბავშვებს, რომ არ გაცივდნენ?

39 პროცენტი — თვალყურს ვადევნებთ, რომ დიდხანს ისეირნონ და მისდევდნენ სპორტს ქუჩაში.

29 პროცენტი — სულაც არ ვავარჯიშებთ.

13 პროცენტი — არ ვფუთავთ.

7 პროცენტი — ვაყენებთ კონტრასტული შხაპის ქვეშ.

6 პროცენტი — დაგვყავს აუზში.

3 პროცენტი — თბილ ფეხებზე ვასხამთ ცივ წყალს.

3 პროცენტი — ვაჭმევთ ნაყინს.

სულ გამოკითხვაში მონაწილეობა 3372 კაცმა მიიღო.

ხორცის მოყვარულთა პრობლემებია?

ვეგეტერიანელებს უფრო აქტიური სექსუალური ცხოვრება აქვთ, დაადგინეს მკვლევარებმა კალიფორნიის უნივერსიტეტიდან (აშშ). ისინი თითქმის ერთი წლის განმავლობაში თვალყურს ადევნებდნენ მაიმუნების ჯგუფს, სწავლობდნენ ცხოველთა ჰომოსექსუალური დონის ცვლილებებს. იმ მაიმუნებს, რომლებიც ხის ფოთლებს ჭამდნენ, ჰქონდათ სასქესო ჰორმონ ესტრადიოლის გაზრდილი კონცენტრაცია და უფრო ხშირად წყვილდებოდნენ. ცხოველებში კი, რომლებიც ხორცს ჭამდნენ, შეინიშნებოდა სასქესო კონტაქტების ნაკლები ოდენობა.

ერთ-ერთი ჰიპოთეზის თანახმად, სისხლძარღვთა დაცობას ქოლესტერინის გაზრდის შედეგად (არავეგეტერიანელთა ხშირი პრობლემა) და სასქესო ორგანოებისკენ სისხლის დენის შენელებას მივყავართ ინტიმური ცხოვრების სირთულეებთან.

რითაა ავად ღვიძლი?

მედიკოსები დარწმუნებული არიან: ღვიძლთან დაკავშირებული ბევრი პრობლემა შეიძლებოდა აგვეცილებინა თავიდან, თუ შევცვლიდით ცხოვრების წესს. რაზე უნდა მივაქციოთ ყურადღება?

დამნაშავე ალკოჰოლია

სპეციალისტების მონაცემებით, გასტროენტეროლოგიური დაავადებებისგან სიკვდილის 55-56 პროცენტი დაკავშირებულია ღვიძლის დაავადებებთან, თანაც მათი დიდი ნაწილი პროვოცირებულია ალკოჰოლის გადაჭარბებული მოხმარებით. „პრაქტიკულად თითქმის ყველა მრავალპროფილიან საავადმყოფოში გასტროენტეროლოგიური განყოფილების სტატისტიკას თუ შევხედავთ, სიკვდილიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ღვიძლის ალკოჰოლური ციროზია“, — ამბობს რუსეთის გასტროენტეროლოგიური ასოციაციის პრეზიდენტი ვლადიმირ ივაშკინი. მისი სიტყვებით, ღვიძლის ალკოჰოლური დაავადება თავისი მასშტაბებითა და შედეგებით ერის ჯანმრთელობისთვის და ქვეყნის ეკონომიკისთვის ვირუსულ ჰეპატიტებსაც კი აჭარბებს. თანაც იმ დროს, რომ მისი თერაპია გარკვეულ ეტაპებზე გაცილებით უფრო იაფია მარტივი ვირუსული ჰეპატიტით მკურნალობაზე, და შედგება ალკოჰოლის მიღებაზე უბრალოდ უარის თქმისგან. ამ დროს, სპირტიანი სასმელების მიღებაზე უარის თქმას ჩვენ არ ვჩქარობთ: მარტო 2012 წლის პირველ ნახევარში რუსეთში მისი მიღება 2,2 პროცენტით გაიზარდა.

ასეთი სიტუაცია ტიპურია არა მხოლოდ რუსეთისთვის, არამედ ევროპელებისთვისაც, განსაკუთრებით მეღვინეობის ქვეყნებისთვის, სადაც ალკოჰოლს ღებულობენ, თუმცა ცოტას, მაგრამ ყოველდღე. ეს უფრო ნაკლებად ხდება აზიაში, სადაც ტრადიციულად გაცილებით ნაკლებს სვამენ. იქ ციროზი უფრო ხშირად პროვოცირებულია ჰეპატიტით.

და არა მხოლოდ იგი

ჰეპატიტის პრობლემა აქტუალურია ჩვენთვისაც. სტატისტიკის მიხედვით, C ტიპის ვირუსით ინფიცირებულია მოსახლეობის 3 პროცენტი. სამაგიეროდ, B ჰეპატიტთან ბრძოლაში არის აშკარა წარმატებები — ძირითადად ახალშობილთა პრაქტიკულად ტოტალური ვაქცინაციის წყალობით, რასაც ადგილი აქვს უკანასკნელ წლებში.

სპეციალისტებს აღელვებთ კიდევ ერთი ტენდენცია: ადამიანების 30 პროცენტს, რომლებიც მიმართავენ პოლიკლინიკებს პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის, გამოკვლევის პროცესში უვლინდებათ პრობლემა, რომელიც არ არის დაკავშირებული არც სპირტიანი სასმელების ბოროტად გამოყენებასთან, არც ვირუსებით დაავადებასთან. ეს არაა ღვიძლის არაალკოჰოლური დაავადება, ან ცხიმოვანი ჰეპატოზი.

ამჟამად ამ დაავადების გავრცელება იზრდება მთელს მსოფლიოში, და ეს დაკავშირებულია მსუქანი ადამიანების რიცხვის ზრდასთან. როგორც წონის მომატებას, ცხიმოვანი ჰეპატოზის პროვოცირებასაც იწვევს არასწორი კვება, ფასტფუდის, ტკბილი და ცხიმიანი საკვების სიჭარბე, აგრეთვე ცხოვრების ნაკლები მოძრაობის წესი.

პრობლემა რომ გადავჭრათ, წონა უნდა მოვიყვანოთ ნორმაში, გადავიდეთ ჯანსაღ რაციონზე, მეტი ვიმოძრაოთ. მედიკოსების აზრით, ღვიძლის არაალკოჰოლური დაავადების დროს ეს ხშირ შემთხვევაში გვეხმარება უფრო უკეთ, ვიდრე წამლების მიღება. სხვათა შორის, მედიკამენტები თავისთავად, ცხოვრების წესის შეუცვლელად, მეტად მცირე შედეგს იძლევა.

◎ ანეკდოტები

— მამი, ბეჰემოტები როგორ ჩნდებიან? — ეკითხება პატარა მიხო.

— ე-ე-ე, როგორ ჩნდებიან და...

— ოღონდ ახლა არ მითხრა, ისინიც წეროებს მოჰყავსო, წეროები მათ ვერ ასწევენ!

* * *

რაოდენობა მუდამ ვერ გადადის ხარისხში. მრავალი პატარა სიამოვნება არასდროს არ იქცევა დიდ ბედნიერებად.

— ეძიმო, ვიცოცხლებ?

— აჰა, ჩემო კარგო, ხუმრობთ? ესე იგი, გამოკეთების გზას ადგახართ.

* * *

— ძვირფასო, რას ამბობენ თქვენთან, პარლამენტში სამყაროს დასასრულის შესახებ? — ეკითხება ცოლი თავის პარლამენტარ ქმარს.

— ჩვენ იგი ავკრძალეთ!

* * *

მუდამ ვპოულობ გამოსავალს ნებისმიერი სიტუაციიდან. ერთიღა მაკვირვებს — მე, დეგენერატი, როგორ ვპოულობ იქ შესასვლელს?

მილოცვა

დაბადების დღეს ვულოცავთ ჭეშმარიტ მამულიშვილსა და მოქალაქეს, დიდ ქველმოქმედსა და მეგობარს, ბატონ **ლევან ვასაძეს.**

„რაც არ იწვის, არ ანათებსო“ — უთქვამს აკაკის და თქვენი წვა და ნათებაც თქვენივე დახმარებით მგოსნის მუზეუმის ეზოში გაშენებული ვენახივით ნაყოფიერი ყოფილიყოს, ბატონო ლევან!.

უღრმესი პატივისცემით,
სხვიტორის აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლები

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაკეთინგი ვახელებთან

„ქართუ ბანკის“ გაკოტრების დანაშაულებრივი სქემა გაიშიფრა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ორგანიზებულ-დანაშაულებრივი სქემა გაშიფრა, რომელშიც საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირები და ბიზნესმენები მონაწილეობდნენ. ამ გეგმის მიხედვით, „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური ელიტა, ახლა უკვე საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილს გაუსწორდა, რაც „ქართუ ბანკის“ მიზანმიმართულ გაკოტრებაში გამოვლინდა. სახეზეა სისხლის სამართლის დანაშაული, რომელშიც ზურაბ ადეიშვილი, მიხეილ სააკაშვილი და ნიკა გილაურის პასუხისმგებლობის საკითხი იკვეთება.

„ვერსია“

დავით საყვარელიძეს შეიძლება დეპუტატობის იმუნიტეტი მოუხსნან

რიყის გასხვისებისა და შემდგომ გამოსყიდვის თაობაზე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში ყოფილი პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური დაიკითხა. საპარლამენტო უმცირესობის წევრი დავით საყვარელიძე კი ისევ არ გამოცხადდა.

„თუკი პარლამენტის წევრი მართლმსაჯულებასთან თანამშრომლობაზე უარს აცხადებს, შეიძლება საგამოძიებო სამსახურმა მისი პასუხისმგებლობის საკითხი დააყენოს და პარლამენტს დეპუტატის იმუნიტეტის შეჩერების თაობაზე მიმართოს“ — აცხადებს სამართლის დოქტორი, უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე მინდია უგრეხელიძე.

„რეზონანსი“

„მკვდარი უფრო ადგება საფლავიდან, ვიდრე ნაცები დაბრუნდებიან“

— **დარწმუნებულია** ეროვნულების ერთ-ერთი ლიდერი სანდრო ბრეგაძე, — ნაციონალური მოძრაობის დაბრუნება ეს არის ბევრად უფრო არარეალური, ვიდრე ის, რომ მკვდარი საფლავიდან ადგეს... მათ არანაირი რესურსი, გარდა ფინანსური რესურსისა, არ გააჩნიათ. მათდამი არანაირი ნდობა არ არსებობს და უარესსაც გეტყვით: მათდამი ზიზღი არსებობს.

„ახალი თაობა“

ძეთა თოფურია ცოლად ებრაელ მილიონერს გაჰყვა

როგორც მოსკოვური გლამურული მედია იუწყება, რუსეთში მოღვაწე ქართველი მომღერალი ქეთა თოფურია ცოლად ებრაელ მილიონერ, 37 წლის ლევ გეიხმანს გაჰყვა. საქორწინო ცერემონია, რომელსაც მხოლოდ წყვილის მეგობრები ესწრებოდნენ, საიდუმლოდ გაიმართა.

ქეთას თქმით, საყვარელ მამაკაცს სამი წლის განავლობაში ხვდებოდა, ახლა კი ურთიერთობა ოფიციალურად დააკანონეს.

„ქართული სიტყვა“

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა სარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერონსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com